პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი
№ 73 (12281)

სამშაბათი, 27 მარტი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 22 მარტის დადგენილებისა „სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

I. შეიქმნას რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობისათვის 16 კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველო:

1. თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო, რომელიც აერთიანებს თელავის, ახმეტისა და ყვარლის რაიონებს.

2. გურჯაანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო — გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონები.

3. სიღნაღის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო — სიღნაღის, წითელწყაროსა და ლაგოდეხის რაიონები.

4. ბოლნისის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო — ბოლნისის, მარნეულისა და დმანისის რაიონები.

5. თეთრი წყაროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო — თეთრი წყაროსა და წალკის რაიონები.

6. დუშეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო — დუშეთის, მცხეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონები.

7. გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო — გორის, ხაშურის, ქარელისა და კასპის რაიონები.

8. ახალციხის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო — ახალციხის, ახალქალაქისა და ბორჯომის რაიონები.

9. ზესტაფონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო — ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონები.

10. სამტრედიის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო — სამტრედიის, წულუკიძისა და ვანის რაიონები.

11. ამბროლაურის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო — ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონები.

12. წყალტუბოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო — წყალტუბოს, ტყიბულისა და მაიაკოვსკის რაიონები.

13. მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო — მახარაძის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონები.

14. ცხაკაიას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო — ცხაკაიას, ჩხოროწყუს, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონები.

15. ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო — ზუგდიდის, წალენჯიხის, ხობის, მესტიის რაიონები და ფოთის საბჭოთა მეურნეობანი.

16. საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი (ტერიტორიული სამმართველოს უფლებებით), რომელიც აერთიანებს სამგორის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, თიანეთისა და საგარეჯოს რაიონების მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებს.

II. დამტკიცებულ იქნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების უფროსებად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგებად და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგებად შემდეგი ამხანაგები:

თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსად ამხ. ლ. ა. სარიშვილი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. ი. ა. მესხეთირიშვილი,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. ბ. ვ. სეფიაშვილი.

გურჯაანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსად ამხ. დ. ე. სარიშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. შ. ს. დღლაშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. ბ. ვ. აღლიაშვილი.

სიღნაღის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსად ამხ. მ. დ. ბრეგაძე,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. ს. ი. ხოსროშვილი,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. ო. ბ. მანჯაფარაშვილი.

ბოლნისის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსად ამხ. ა. მ. მამედოვი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. ვ. ი. კაპანაძე,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. დ. კ. ხომასურიძე.

თეთრი წყაროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსად ამხ. ვ. მ. თეთრუაშვილი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. ა. ს. ბეძაური,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. ვ. ა. ხრისტიანოვი.

დუშეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსად ამხ. გ. ი. ზოტიკიშვილი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. ვ. ა. გურდული,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. ზ. შ. მარგველაშვილი.

გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსად ამხ. დ. ვ. დადიანი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. რ. ა. ბზიშვილი,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. ა. ზ. მალაზონია.

ახალციხის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსად ამხ. ი. ს. ხარისჩარიშვილი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. ლ. მ. ისაკაძე,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. ე. ი. ხითარიშვილი.

ზესტაფონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსად ამხ. მ. მ. სამხარაძე,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. გ. დ. ყიფიანი,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. გ. დ. ძაბირაძე.

სტალინის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსად ამხ. ბ. ნ. ქართველიშვილი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. კ. ნ. შავიშვილი,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. გ. მ. ბახტაძე.

ამბროლაურის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსად ამხ. ბ. ო. მინდელი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. მ. ბ. ჯინჭველაშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. ა. ს. კობახიძე.

წყალტუბოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსად ამხ. მ. ა. ღოღობერიძე,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. ო. ბ. აბესაძე,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. ზ. ნ. სართანია.

მახარაძის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსად ამხ. ვ. ე. ჯაველი,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. ვ. ზ. თოდუაძე,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. ბ. უ. მოისწრაფიშვილი.

ცხაკაიას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსად ამხ. დ. მ. ბაღათურია,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. ნ. პ. შონია,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. ვ. ვ. ბაკურია.

ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსად ამხ. ა. მ. ჭეჟია,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. ა. კ. ქვარცხავა,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. ბ. კ. იოსავა.

საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის მმართველად ამხ. დ. ბ. შარაშიძე,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგად ამხ. ა. მ. დავითაშვილი,

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგად ამხ. ი. ა. პაიჭაძე.

ჩვენს მინდვრებში

თესვის ოპერაციული სნოგვები

გაზაფხული დღითიდღე ძალაში შედის. მთელ რიგ რაიონებში შეუდგნენ მარცვლოვან-პარკოსანი, სიმინდისა და სხვა კულტურების თესვას.

ხაშურის რაიონში 25 მარტისათვის მარცვლოვან-პარკოსანი კულტურები დათესილი იყო 406 ჰექტარი, ქარელის — 292, გორის — 452, კასპის — 363, საგარეჯოს — 1.551, გურჯაანის — 244, სიღნაღის — 670, წითელწყაროს — 1.113, თელავის — 228, ახმეტის — 750, ყვარლის — 601, ლაგოდეხის — 618, სამგორის — 1.060, მცხეთის — 257, მარნეულის — 1.838, ბოლნისის — 397, თეთრი წყაროს — 681, დმანისის — 364, თიანეთის — 333, განის — 52, ცხაკაიას — 272, ორჯონიკიძის — 41, ჩოხატაურის რაიონში — 42 ჰექტარი, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 362 ჰექტარი.

სიმინდი

მზიანი დათბილი ამინდის დადგომამ შექმნა ხელსაყრელი პირობები სიმინდის თესვისათვის.

25 მარტისათვის მარნეულის რაიონში სიმინდი დათესილი იყო 597 ჰექტარი, ბოლნისის რაიონში — 641, თეთრი წყაროს — 90, ყვარლის — 96, ლაგოდეხის — 97, წითელწყაროს — 93, სიღნაღის რაიონში — 83 ჰექტარი. სიმინდის თესვა დაიწყეს გორის, კასპის, გურჯაანის, თერჯოლის და სხვა რაიონებში, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ბარდა

მასობრივად გაჩაღდა ძვირფასი კულტურის—ბარდას თესვა. ახალციხის რაიონში 25 მარტისათვის ბარდა დათესილია 82 ჰექტარი, ხაშურის — 396, ქარელის — 286, გორის — 452, კასპის — 328, საგარეჯოს — 1.476, გურჯაანის — 243, სიღნაღის — 650, წითელწყაროს — 1.113, თელავის — 228, ახმეტის — 750, ყვარლის — 505, ლაგოდეხის — 618, სამგორის — 1.060, მცხეთის — 257, მარნეულის — 1.838, ბოლნისის — 397, თეთრი წყაროს — 653, დმანისის — 364, თიანეთის რაიონში — 233 ჰექტარი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 342 ჰექტარი.

თესლი მთლიანად კონდიციურია

წულუკიძე. (საკ. კორ.). რაიონში წელს სიმინდი 4.000 ჰექტარზე უნდა დათესონ. ასეა გეგმით, მაგრამ მათი გადაწყვეტილებაა ნათესი ფართობი 4.500 ჰექტარამდე აიყვანონ.

ახლა საკოლმეურნეო მინდვრებზე 45 ტრაქტორი მუშაობს. დღეღამეში სულ მცირე ორას ჰექტარ ფართობს ხნავენ. 16 მარტისათვის საგაზაფხულო ხვნა ჩატარებული იყო 3.746 ჰექტარზე, ოთხასი ჰექტარით მეტ ფართობზე, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდისათვის.

სათესი ფართობების ხვნა უკვე დაამთავრეს და ახლა ფარცხვასა და აოშვაზე მუშაობენ ჯდანოვისა და წულუკიძის სახელობის, სოფლების გოჩა ჯიხაიშის, ნახახულევის, სუხჩის, წითელვარსკვლავის, კუხისა და ივანდიდის კოლმეურნეობებში.

უკვე მეოთხე წელია წულუკიძელები სიმინდს მთლიანად დაკალიბრებული თესლით თესავენ. ახლა მომარაგებული აქვთ სიმინდის ორი ჯიშის — აჯამეთის თეორისა და აბაშის ყვითელის თესლი. 2.016 ცენტნერის რაოდენობით, აგრეთვე 533 ცენტნერი სოიის თესლი. სათესლე მასალა მთლიანად კონდიციურია. მინდვრებში გაგანილია 2.400 ტონა ორგანული სასუქი; მდინარე ცხენისწყალის მიშვებით გაშლამეს ორას ჰექტარზე მეტი საყანე მიწა.

ეაძრის ბარხლის თესვა კარგა ხანია დაიწყო ტირიფონის ველზე. ითესება უკანასკნელი ჰექტარები... გორის რაიონის ზედდულეთის კოლმეურნეობის. ტრაქტორისტი ვ. გიგაური 6 ჰექტარის ნაცვლად ყოველდღიურად 10 ჰექტარ ფართობს თესავს.

ზედდულეთელ კოლმეურნეთა შრომის შესახებ, იმაზე, თუ როგორ ფიქრობენ ისინი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას, იხილეთ მე-2 გვერდზე.

თესავენ ბარდას

საჩხერე. (საკ. კორ.). გაზაფხულია. რაიონის კოლმეურნეობები უკვე შეუდგნენ ბარდის თესვას. ამ გაზაფხულზე ბარდა დაითესება 50 ჰექტარზე, ხოლო სიმინდის აღების შემდეგ მას დათესავენ 300 ჰექტარზე.

სოფელ კორგოლოს კოლმეურნეობამ ბარდა დათესა რვა ჰექტარზე. ბარდას თესავენ აგრეთვე მახათაურის, ორლულის და სხვა კოლმეურნეობები.

თამგაქოს რგვა დაიწყო

ლაგოდეხი. (ტელეფონით). წელს გაზაფხული ადრე დადგა კახეთში. რაიონში მინდვრის სამუშაოები კარგა ხანია დაიწყო. ნაკვეთებს ამზადებენ თამბაქოს დასარგავად, სიმინდის დასათესად.

მეთამბაქოეებმა, რომლებმაც წელს 2.225 ჰექტარზე უნდა გადარგონ თამბაქოს ჩითილი, ზამთარშივე იზრუნეს მის გამოსაყვანად.

სოფელ მერეთისკარის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" კოლმეურნეებმა წელს სათამბაქოე მიწები სარწყავში შეარჩიეს და კარგადაც დაამუშავეს, თამბაქოს ჯანსაღი ჩითილი გამოიყვანეს. მათი პირობაა შემჭიდროებულ ვადებში გადარგონ ჩითილი, აგროვადებში დაამუშაონ პლანტაციები და გეგმით გათვალისწინებულზე მეტი მოსავალი მიიღონ.

მერეთისკარელებმა რაიონში პირველებმა დაიწყეს თამბაქოს ჩითილის გადარგვა. დაწინაურდა მესამე ბრიგადა, რომელსაც ჟ. ცისკარიშვილი ხელმძღვანელობს.

თამბაქოს რგვა წარმოებს სარგავი მანქანით. მანქანით წელს შარშანდელზე მეტი თამბაქო დაირგვება, რითაც მეთამბაქოეებს შეუმსუბუქდებათ შრომა.

მ. ქვრივიშვილი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

თერმოატომური იარაღის დამუშავებისა და ხრულყოფის დარგში პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულების დროს განსაკუთრებული დამსახურებისა და ატომური მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მადლობა გამოუცხადა წამყვანი მეცნიერებისა და კონსტრუქტორების — სოციალისტური შრომის გმირების, ლენინური პრემიის ლაურეატების ჯგუფს.

საკავშირო პროფსაბჭოს IX პლენუმი

მოსკოვი, 26 მარტი. (საკდესი). კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ღღეს გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს IX პლენუმი.

პლენუმზე პროფესიული კავშირების მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით „კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში" მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა.

პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ატომური მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, ახალ ნიმუშთა მძლავრი თერმოატომური იარაღის შემუშავებაში, სრულყოფასა და გამოცდაში მიღწეული დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა „ნამგალი და ურმის" მესამე ოქროს medlით დააჯილდოვა მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი — ორგზის სოციალისტური შრომის გმირები, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა რაკეტული ჯარებისა და ავიაციის ოფიცერთა ჯგუფს, სოციალისტური შრომის გმირის წოდება 26 წამყვან კონსტრუქტორს, მეცნიერს, ინჟინერსა და მუშას, სსრ კავშირის ორდენებითა და medlებით დაჯილდოვა რაკეტული ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 7 ათასზე მეტი მუშა, კონსტრუქტორი, მეცნიერი, ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და სამხედრო მოსამსახურე, აგრეთვე ლენინის ორდენით დაჯილდოვა მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტები და ქარხნები.

ვენის ორკესტრის კონცერტი

ვენის ფილარმონიის ცნობილმა ორკესტრმა 25 მარტს დამთავრა გასტროლები მოსკოვში. გამოსათხოვარ კონცერტზე, რომელიც კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა, შესრულდა იოჰან შტრაუსის ოპერეტა „ღამურას" უვერტიურა, იოჰან და იოზეფ შტრაუსების სხვადასხვა ვალსი და პოლკა.

დირიჟორობდა ვილი ბოსკოვსკი.

დარბაზში შეკრებილი ექვსი ათასი მსმენელისათვის თითქოს ხელახლა გადაიშალა ვენური ვალსის მომხიბვლელი სამყარო — იმდენი სილამაზე, კეთილშობილება და გატაცება იყო ავსტრიელ მსახიობთა შესრულებაში. მოსკოველები გულთბილად მიესალმნენ ვენელ მუსიკოსებს.

კონცერტზე იყვნენ **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიკოიანი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. ნ. შელეპინი,** აგრეთვე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ზ. ტ. სერდიუკი.**

ლოჟაში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად იყო ავსტრიის ელჩი სსრ კავშირში გ. ჰაიმერლე მეუღლითურთ.

ვენის ფილარმონიის ორკესტრმა, რომელიც პირველად არის გასტროლებზე საბჭოთა კავშირში, სამი კონცერტი გამართა მოსკოვში. ჰერბერტ ფონ კარაიანის დირიჟორობით ორკესტრმა დიდი წარმატებით შეასრულა მოცარტის, ბეთჰოვენის, ვაგნერის, ბრუკნერის, რიჰარდ შტრაუსის ნაწარმოებები.

ავსტრიელი მუსიკოსები კონცერტს გამართავენ აგრეთვე ლენინგრადში. (საკ. დესი).

კომუნიზმის მუსიკალური კულტურისაკენ

მოსკოვი, 26 მარტი. (საკდესი). ღღეს კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაიწყო კომპოზიტორთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობამ. დარბაზში შეიკრიბნენ ჩვენი ქვეყნის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შემოქმედებით ორგანიზაციათა წარმომადგენლები—კომპოზიტორები, მუსიკისმცოდნენი, მუსიკოსშემსრულებლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

ყრილობის დელეგატები და სტუმრები მჭუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ნ. კოსიგინს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიკოიანს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, პ. ნ. დემიჩევს, ლ. თ. ილიჩოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ა. ნ. შელეპინს,** რომლებიც ლოჟებში შემოვიდნენ.

ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ჩვენი ქვეყნის უხუცესმა კომპოზიტორმა ი. ა. შაპორინმა. მან აღნიშნა, რომ შეორე ყრილობის შემდგომ განვლილ ხუთ წელიწადში ჩვენი ხალხის საერთო სულიერი აღმავლობით ფრთაშესხმულმა საბჭოთა მუსიკოსებმა მეტად ნაყოფიერად იშრომეს სოციალისტური კულტურის საკეთილდღეოდ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებული კომუნისტური პარტიის პროგრამა—ეპოქის ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი — უმაგალითო პერსპექტივებს სახავს საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების წინაშეც.

ი. ა. შაპორინმა აუწყა ყრილობის მონაწილეებს, რომ დარბაზში იმყოფებიან

კომპოზიტორთა საკავშირო ყრილობა

□

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დელეგაციები. იგი გულითადად მიესალმა ძვირფას სტუმრებს.

ყრილობის დელეგატებმა სალაბიო პრეზიდიუმში დიდი ერთსულოვნებით აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

არჩეულ იქნა ხელმძღვანელი ორგანოები—პრეზიდიუმი, სამდივნო, სამანდატო და სარედაქციო კომისიები.

ერთხმად მიიღეს ყრილობის მუშაობის შემდეგი განრიგი:

1. მოხსენება „გზა კომუნიზმის მუსიკალური კულტურისაკენ" (საბჭოთა მუსიკალური შემოქმედების მდგომარეობა და ამოცანები სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე).

2. ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება.

3. სამანდატო კომისიის მოხსენება.

4. სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის ახალი წესდების პროექტის შესახებ.

5. სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის არჩევნები.

6. ცენტრალური სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. ა. სუსლოვი,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. მან წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება ყრილობისადმი. დელეგატებმა და სტუმრებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს ეს მისალმება. დარბაზში დიდხანს გაისმოდა ტაში.

ყრილობის მონაწილეთა სახელით თავმჯდომარემ **დ. დ. შოსტაკოვიჩმა** მხურვალე მადლობა გადაუხადა ცენტრალურ კომიტეტს ნდობისა და ბრძნული დახმარებისათვის. მან აღუთქვა, რომ საბჭოთა კომპოზიტორები ენერგიულად იბრძოლებენ კომუნიზმის მუსიკალური კულტურის შემდგომი აყვავებისათვის.

მოხსენება „გზა კომუნიზმის მუსიკალური კულტურისაკენ" გააკეთა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა **ტ. ნ. ხრენიკოვმა.**

ღღეს კრემლის სასახლეში, კომპოზიტორთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობაზე განიხილება დიდმნიშვნელოვანი საკითხი საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების შემდგომი განვითარების მდგომარეობისა და გზების შესახებ იმ ამოცანების შუქზე, რომლებიც პარტიის XXII ყრილობამ დაუსახა შემოქმედებითს ორგანიზაციებს საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდისათვის. მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის მოღვაწენი შეიკრიბნენ კრემლში, რათა შეაჯამონ შედეგები, დასახონ ახალი გეგმები, რომელთა მიზანია ახალნაწარმოებთა შექმნა, რომლებიც მთელი მრავალფეროვნებით წარმოსახავენ საბჭოთა ადამიანების სულიერ სამყაროს.

ოპერა „მინდიას" დიდი წარმატება

მოსკოვი, 25 მარტი. (საკდესი). ადამიანი ადამიანის მეგობარია. ამ აზრით

არის გამსჭვალული ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია", რომელიც ღღეს უჩვენეს ს. ი. ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში. ეს ოპერა შედის იმ კონცერტების პროგრამაში, რომლებიც მიძღვნილია კომპოზიტორთა III ყრილობისადმი. ოპერა, რომელიც დაწერილია ქართული ლიტერატურის კლასიკოსის გაჟა-ფშაველას მოტივების მიხედვით, მოგვითხრობს ადამიანის ყველაზე მაღალ, ყველაზე კეთილშობილ ვრძნობებსა და ურთიერთობაზე: მეგობრობაზე, თავისი ქვეყნის, ხალხის სიყვარულზე.

ოპერას საფუძვლად უდევს მთიელი მინდიას ნათელი წმინდა სახე (მის პარტიას ასრულებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ბ. ანჯაფარიძე) — მშობლიური მხარისა და ბუნების სიყვარულში პოულობს იგი სულიერ ძალებს, რომლებიც მას დამპყრობთაგან თავისი ქვეყნის განთავისუფლებელთა პირველ რიგებში აყენებს.

ოპერის ლიბრეტო დაწერეს კომპოზიტორმა ო. თაქთაქიშვილმა და ახალგაზრდა ქართველმა დრამატურგმა რ. თაბუკაშვილმა. სპექტაკლში მონაწილეობა მიიღეს სრულიად საკავშირო რადიოს და ტელევიზიის საოპერო სიმფონიურმა ორკესტრმა (დირიჟორი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი), სრულიად საკავშირო რადიოს და ტელევიზიის გუნდმა რუსეთის სფსრ სახალხო არტისტის კ. პტიცას ხელმძღვანელობით და თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სოლისტებმა — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა პ. ამირანაშვილმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა მ. ამირანაშვილმა, ი. შუშანიამ. ტექსტს კითხულობდა რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი მ. ნაზვანოვი.

ოპერას, რომელიც ღღეს პირველად აეღერდა მოსკოვში, დიდი წარმატება ჰქონდა.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

თერმოატომური იარაღის დამუშავებისა და სრულყოფის დარგში პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულების დროს განსაკუთრებული დამსახურებისა და ატომური მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მადლობა გამოუცხადა წამყვანი მეცნიერებისა და კონსტრუქტორების — სოციალისტური შრომის გმირების, ლენინური პრემიის ლაურეატების ჯგუფს.

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡ IX ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

მოსკოვი, 26 მარტი. (საკდესი). კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ღღეს გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს IX პლენუმი.

პლენუმზე პროფესიული კავშირების მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით „კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში" მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა.

პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐᲨᲘ

ატომური მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, ახალ ნიმუშთა მძლავრი თერმოატომური იარაღის შემუშავებაში, სრულყოფასა და გამოცდაში მიღწეული დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა „ნამგალი და ურმის" მესამე ოქროს medlით დააჯილდოვა მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი — ორგზის სოციალისტური შრომის გმირები, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა რაკეტული ჯარებისა და ავიაციის ოფიცერთა ჯგუფს, სოციალისტური შრომის გმირის წოდება 26 წამყვან კონსტრუქტორს, მეცნიერს, ინჟინერსა და მუშას, სსრ კავშირის ორდენებითა და medlებით დაჯილდოვა რაკეტული ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 7 ათასზე მეტი მუშა, კონსტრუქტორი, მეცნიერი, ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და სამხედრო მოსამსახურე, აგრეთვე ლენინის ორდენით დაჯილდოვა მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტები და ქარხნები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში

პარტიის ფიქრი ხალხის ფიქრია

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენელ მიწაზე კარგა ხანია მოვიდა გაზაფხული, დიდი ოცწლეულის პირველი გაზაფხული.

გაზაფხული! თითქოს წელიწადის არც ერთი დრო მხვნელ-მთესველს ისე არ აღელვებს, როგორც ბუნების ეს კეკლუცი პატარძალი. ხალხს უთქვამს: „რ.ხაც დათესავ, იმას მოიმკო", და მთელი წლის უხვ მოსავალსაც ხომ სწორედ ახლა ეყრება საფუძველი?!..

წლევანდელი გაზაფხული მაინც უჩვეულო, განსაკუთრებულია. იგი პირველია პარტიის XXII ყრილობის შემდეგ, პირველი, როცა საჭიროა საქმით ვუპასუხოთ მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას.

და ამიტომაც, ხელისგულივით გადაშლილ ტირიფონის ველზე ახლა უჩვეულო ფუსფუსია: კოლმეურნეთა ხალისიანი შრომის სიმღერა, ტრაქტორების განუწყვეტელი გუგუნი...

ცენტრალურ ველზე გორის რაიონის ზეღდულეთის კოლმეურნეობის წევრებს შევხვდით. გზის მარცხენა მხარეს ისინი ხეხილის ბაღებს სწამლობდნენ, ხოლო იქვე გვერდით შაქრის ჭარხლის თესვა იყო გაბურებული...

— ვჩქარობთ, — გვიპასუხა კოლმეურნეობის აგროტექნიკოსმა გ. ცერცვაძემ. — სადაც არის ღია პარტიული კრება შედგება, დასათესი კი ოთხიოდე ჰექტარიდა დაგვრჩა. გადავწყვეტეთ კრებას შაქრის ჭარხლის თესვის დამთავრება ვუპატაკოთ.

კოლმეურნეობის კომუნისტებმა პარტიული კრების თადარიგი რამდენიმე დღით ადრე დაიჭირეს. როგორც კი გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება და საბოლოო სიტყვა, აგრეთვე პლენუმის დადგენილება და ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, მათ გადაწყვიტეს ღია პარტიული კრება მოეწვიათ და გულახდილად ელაპარაკნათ ზმაზე, თუ რა გზებით, რა საშუალებებით შეუძლიათ ბრძოლა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად.

200-ზე მეტი კაცი შეიკრიბა საკოლმეურნეო კლუბში. კედლებზე გამოკრული იყო ლოზუნგები და პლაკატები. დარბაზის თავში წითელ მატერიაზე ბრწყინავდა სტრქონები, ამოწერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებიდან:

„პარტია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უყენებს პრინციპიულად ახალ მოთხოვნას— აღარმოონ სოფლის მეურნეობის პროდუქტები სახელმწიფოს შეკვეთებით, ხალხის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით".

დაიწყო ზეღდულეთელ კომუნისტთა დიდი საუბარი.

ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

Გ. ᲜᲐᲡᲧᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

№ 7 ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ.

ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ვიცი რა დიდ ამოცანებს გვაკისრებს მარტის პლენუმი ჩვენ, კოლმეურნე აგიტატორებს.

აგიტატორობა რთული, მავრამ მეტად საპატიო საქმეა. განსაკუთრებით ახლა, როცა ჩვენს თვალწინ სოფლად უდიდესი ცვლილებები ხდება, როცა ისე, როგორც არასდროს, პარტია აყენებს სოფლის მეურნეობის განვითარების გრანდიოზულ ამოცანებს, საჭიროა ჩემი საუბარიც უფრო კონკრეტული, ცოცხალი, შემოქმედებითი იყოს.

მარტის პლენუმის გახსნის . ღღიდანვე მუშაობს იმით დავიწყე, რომ პლენუმის მასალებს — ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებასა და საბოლოო სიტყვას, პლენუმის დადგენილებას და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ბრიგადის ყველა წევრს ვაცნობ. ამასთან საუბრებს ვმართავ ჩვენი კოლმეურნეობისა და ბრიგადის კონკრეტულ ამოცანებთან, ფაქტებთან ღრმა კავშირში.

მაგალითად, როცა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებიდან ნათესბალახიანი სისტემის შესახებ კრიტიკულ შენიშვნებზე ვსაუბრობდით, აქვე გავიხსენეთ, თუ რა უმიზნოდ იკარგებოდა წინათ ჩვენი ბრიგადის წევრთა შრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ბალახების თესვაზე.

ახლა ყოველი საგიტაციო საუბრის დროს ამაზე ვკამათობთ, თუ როგორ შეიძლება უკეთ მოეწყოს შრომა ბრიგადაში, ვიცხავთ ზარმაცებს და გამოგვყავს ზუსტი ანგარიში, თუ რა ზარალს განიცდის ბრიგადა მათგან.

ამჟამად საგაზაფხულო სამუშაოები ჩვენს ბრიგადაში მთელი ძალით გაჩაღდა. შაქრის ჭარხლის თესვა უკვე დავამთავრეთ. დავთესეთ 7 ჰექტარი. თესვის წინ ნიადაგში მინერალური და ორგანული სასუქები შევიტანეთ. 5 ჰექტარი ვენახი მთლიანად დავამუშავეთ. მიმდინარეობს ბაღების შეწამვლა. სულ მალე დავიწყებთ სიმინდის თესვას. ვანზრახული გვაქვს საგაზაფხულო სამუშაოების დროს ბრიგადაში სისტემატურად გამოვუშვათ საველე ფურცლები.

ჩვენ წელს 7 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 400 ცენტნერი შაქრის ჭარხალი უნდა მივიღოთ...

ხმები დარბაზიდან: — რას ამბობ, ძვი, შენ როგორი აგიტატორი ხარ, შარშან 480 ცენტნერი მოიყვანეთ და წელს კი 400 ცენტნერის მიღება გადაწყვიტეთ?!.. თქვენმა ბრიგადამ 700 ცენტნერი მაინც უნდა მოიყვანოს!

მოვიყვანთ კიდეც. მე მხოლოდ გეგმის მიხედვით ვამბობდი. საშუალოდ ჰექტარზე 700 ცენტნერ შაქრის ჭარხალს მოვიყვანთ, 5 ჰექტარი ვენახის საშუალოდ ჰექტარზე — 55 ცენტნერ ყურძენს, 65 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე — 14 ცენტნერ ხორბალს.

სიტყვას ვაძლევ კრებას ამ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში პირადი მაგალითი მივცე ბრიგადის წევრებს და მართალი, შემოქმედებითი საუბრებით ხელი შეუწყო მათ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში,

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (ზემოთ) მიმდინარეობს ღია პარტიული კრება; (ქვემოთ) კომუნისტთა ერთი ჯგუფი კრებაზე მოიჩქარის.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲐᲡᲔ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲒᲔᲜ, ᲐᲡᲔ ᲨᲠᲝᲛᲝᲒᲔᲜ ᲖᲔᲦᲓᲣᲚᲔᲗᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲕᲣᲞᲐᲡᲣᲮᲝᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲖᲠᲣᲜᲕᲐᲡ

Ა. ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ᲣᲓᲘᲓᲘᲡᲘ პასუხსაგები ამოცანების წინაშე ვდგავართ დღეს ჩვენ, ზეღდულეთის კოლმეურნეობის კომუნისტები, უპარტიო აქტივი, სოფლის ყველა მშრომელი. ეს გასაგებიც არის. არ გასულა დიდი ხანი პარტიის XXII ყრილობიდან, და აი ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა საქმის კონკრეტული და ღრმა ცოდნით განიხილა საკითხი — „კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში".

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პარტია ოდნავაც არ ანელებს ზრუნვას სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ჩვენი ყურადღება მიაპყრო იმაზე, რომ უფრო კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ კოლმეურნეობას, ბრიგადას, რგოლს, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ მიწა და ყველა საკოლმეურნეო რეზერვი, კრიტიკულად შეგაფასოთ და გავითვალისწინოთ წინა წლების შეცდომები. ამიტომ, ვფიქრობ, საჭიროა დღეანდელ ღია პარტიულ კრებაზე შევეხოთ ჩვენ მიერ დღემდე გაწეულ მუშაობას.

გასული წელი ცუდი მაჩვენებლებით როდი დავამთავრეთ. თუ ამ შედეგებს წინა წლების მაჩვენებლებს შევადარებთ, ეს, რა თქმა უნდა, ასეა. მაგალითად, სიმინდის მთელ ნათეს ფართობზე, რაც 440 ჰექტარს შეადგენდა, საშუალოდ ჰექტარზე 37,8 ცენტნერი მარცვალი მივიღეთ. ცალკეულმა ბრიგადებმა და რგოლებმა კი უფრო მაღალი მოსავალი მოიყვანეს. № 4 ბრიგადამ მთელი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე 44 ცენტნერი მიიღო.

კომუნისტმა მესიმინდეებმა თ. ბერიანიძემ, გ. ვართუმაშვილმა და სხვებმა ჰექტარზე გადაანგარიშებით საშუალოდ 65-70 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. მაღალი მოსავალი მოიყვანეს მესიმინდეებმა ს. ყაზიშვილმა, ა. ცერცვაძემ, ვ. მაჭარაშვილმა, გ. წკრიალაშვილმა, თ. მაჭარაშვილმა და სხვებმა.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს პირობებში შესაძლებელია ჰექტარზე საშუალოდ 60-70 ცენტნერის მიღება, თუ ყველა კოლმეურნე მონდომებით და სიყვარულით მოეკიდება საქმეს, თუ კოლმეურნეობის გამგეობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია გადაჭრით გაუმჯობესებენ ხელმძღვანელობას.

ასევე შეიძლება ითქვას ხორბლის მოსავალზეც. რატომ მიიღეს მეტად დაბალი მოსავალი — ჰექტარზე საშუალოდ 5-7 ცენტნერი ხორბალი პირველმა, მეორე და მეცხრე ბრიგადებმა? თუ ყველაფერს ამინეს დავაბრალებთ, ხომ ასევითვე პირობებში უხდებოდათ მუშაობა მეოთხე და მეექვსე ბრიგადების წევრებს, რომლებმაც ადაჯარბებით შეასრულეს ხორბლის მოსავლიანობის გეგმები?

საქმე ის არის, რომ ყველგან თესვისწინა სამუშაოები ხარისხიანად არ შესრულებულა. ცუდი იყო მარცვლის აღმოცენება. ბრიგადებში მომუშავე კომუნისტები გულგრილად შეჰყურებდნენ ამას, ხოლო პარტიულომ და კოლმეურნეობის გამგეობამ საჭირო კონტროლი და დახმარება ვერ განახორციელეს.

მეურნეობაში დიდია შაქრის ჭარხლის ხვედრითი წონა. უკვე ორი წელია ამ კულტურის მაღალ მოსავალს ვიღებთ. გასულ წელს საშუალო მოსავალი ჰექტარზე 401 ცენტნერი იყო, ხოლო 30 ჰექტარი ფართობიდან, რაც მთლიანად სვეტლიჩნის მეთოდით კომპლექსური მექანიზაციით დამუშავდა, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 450 ცენტნერი. ცენტნერი ჭარხლის მოყვანა მხოლოდ 80 კაპიკი დაგვიჯდა.

ხმები აუდიტორიიდან: სვეტლიჩნის მეთოდის დანერგვით დიდ საქმეს ვაკეთებთ!

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კოლმეურნეობის ტრაქტორისტი ა. ცერცვაძე და აგროტექნიკოსი გ. ცერცვაძე „მოწმენდენ" შაქრის ჭარხლის სათესი მანქანის ჩამოსესი აპარატის მუშაობას; (მარჯვნივ) ხეხილის წამლობას ატარებს კოლმეურნე გ. გიგაური.

ფოტოები შ. ჩხეტიანისა.

შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის ახალი მეთოდი ფართოდ ინერგება კოლმეურნეობაში. წელს შაქრის ჭარხალს მთელ ფართობზე — 70 ჰექტარზე სვეტლიჩნისებურად მოვუვლით და საშუალოდ ჰექტარზე 500 ცენტნერს მოვიყვანთ. ცენტნერი ჭარხლის ღირებულებას 50 კაპიკამდე დავიყვანთ. საამისოდ ყველა პირობა შეექმნენით. ჭარხლის თესვა აგროტექნიკურ ვადებში დავამთავრეთ.

უნდა ითქვას, რომ წელს ხეხილის ბაღებს უკეთესად ვუვლეთ. ბაღებში მთლიანად ჩავატარეთ „საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები. 75 ჰექტარ ფართობზე ახალ ბაღს ვაშენებთ. უკვე გაშენებულია 50 ჰექტარი. მხხმოარე ბაღის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი ხილი — ასეთი ვალდებულება ვიკისრეთ ზეღდულეთელმა კოლმეურნეებმა და მას კიდევაც გავანაღდებთ. წლების მანძილზე ხეხილის ბაღებში მრავალწლიან ბალახებს ვთესავდით. ამას გაყამირებამდე მიჰყავდა ნიადაგი, ხეხილი იღუპებოდა. პრაქტიკით დავრწმუნდით ნათესბალახიანი სისტემის მავნეობაში, და ჩვენც ხელი ვკარით მას.

კოლმეურნეობას უკვე აქვს ბარდის მოყვანის გამოცდილება. აქამდე მის წარმოებას მხოლოდ მეთესლეობის მიზნით ვეწეოდით. წელს კი ბარდა მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს პირუტყვის კვების რაციონში. ამიტომ საკუთარი თესლით დავთესეთ 14 ჰექტარი ბარდა. ნაწვერალზე კიდევ დავთესავთ 70 ჰექტარს, ხოლო სასილოსე სიმინდის ადგილს შემდეგ — 100 ჰექტარს.

ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი ყურძნის მოსავლიანობის გასაადიდებლად. ჭიანურდება ვენახის შპალერზე გადაყვანის სამუშაოები. საამისოდ საჭირო მასალებით კოლმეურნეობა ცუდად მარაგდება. შაბიამნის ნაკლებობასაც განვიცდით.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ყოველწლიური ზრდის მიუხედავად, მეურნეობის ეს დარგი კვლავ ჩამორჩება კოლმეურნეობაში. შარშან საკვები დაგვაკლდა. ამან გამოიწვია წველადობის შემცირება. უხეში და კონცენტრირებული საკვები წელს ბლომად გვაქვს. წველადობაში ჩამორჩენას დავძლევთ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა ახალი, დიდი ამოცანები დაგვისახა. კოლმეურნეობის გამგეობა მოეთათბირა პარტიულ ბიუროს და ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით საწარმოო ბრიგადებში შევამცირეთ რგოლების რიცხვი. ახლა ბრიგადაში ორი რგოლია, ყოველ ორ ბრიგადას ერთი აგროტექნიკოსი ჰყავს. სატრაქტორო ბრიგადაში კი შეექმნენით მექანიზებული რგოლი, რომელშიც ხუთი ტრაქტორისტია. ისინი 70 ჰექტარზე შაქრის ჭარხალს და 200 ჰექტარ ფართობზე სიმინდს მოიყვანენ ხელით შრომის გამოუყენებლად. კომპლექსური მექანიზაციით, და იმუშაებენ თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებაზე.

ნიადაგის უკეთ გამჯყენების მიზნით საწრეტი არხები გავჭერით. დავდგით ერთი წყალსაჭაი, რითაც 50 ჰექტარი ფართობი გავასარწყავეთ.

ᲐᲕᲐᲛᲐᲦᲚᲝᲗ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝᲠᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ

Ш. ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔ,

კოლმეურნეობის პარტიული ბიუროს მდივანი.

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲚᲔᲚ ჩვენს ღია პარტიულ კრებას ბევრი უპარტიო ამხანაგი ესწრება. დარბაზში თითქმის აღარ არის ადგილი. ამას თავისი ახსნა აქვს. პარტიის ც. კ-ის პლენუმის შემდეგ ეს ჩვენი პირველი პარტიული კრებაა. პლენუმმა „სოფლის მეურნეობის მშრომელებს დიდი ამოცანები დაუსახა. ყველას სურს იყოს საქმის კურსში, იცოდეს თავისი ადგილი პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის მებრძოლთა რიგებში. ეს არის ჩვენი კრების მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები სწორად აკრიტიკებენ კოლმეურნეობის გამგეობასა და პარტიულ ბიუროს, მოითხოვენ სასოფლო-სამეურნეო არტელის მრავალდარგოვანი მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ღრმად ვერ ვწვდებით კოლმეურნეობის ეკონომიკას, მეურნეობის ცალკეულ დარგებში ჩამოვრჩებით, დავალებებს ვერ ვასრულებთ, ცოტას ვაწარმოებთ მარცვლეულს, ხილსა და მეცხოველეობის პროდუქტებს. პარტიული ორგანიზაცია, კომუნისტები კი ვითმენთ ამას და განგაშს არ ვტეხთ, არ ვსახავთ კონკრეტულ ღონისძიებებს ჩამორჩენის სწრაფად აღმოფხვრისათვის.

თუ ზოგიერთმა აქ დასახელებულმა ბრიგადებმა, რგოლებმა და ცალკეულმა ადამიანებმა შეძლეს მოეყვანათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავალი, უეჭველია სხვებსაც შეეძლოთ მიეღოთ ასევე კარგი მოსავალი, შეესრულებინათ დავალებანი.

მაგრამ საქმე ის არის, რომ სუსტად ვეწევით კოლმეურნეებში ორგანიზატორულ მუშაობას, ყველგან ჯეროვან სიმაღლეზე ვერ დგას პოლიტიკური აგიტაცია. იგი ზოგჯერ მოწყვეტილია კოლმეურნეობის ცხოვრებას. აგიტატორები ფაბუკაშვილი, გაბუნია და სხვები შემთხვევიდან შემთხვევამდე მართავენ საუბრებს. პარტბიუროს მიუძღვის ბრალი იმაში, რომ მუდმივმოქმედი აგიტპუნქტი ვერ შეევნარჩუნეთ.

პარტიული ბიურო ახლებურად გარდაქმნის თავის მუშაობას. ამ მხრივ გადადგმულია პირველი ნაბიჯები. შევიმუშავეთ მინდვრად საგიტაციო-მასობრივი მუშაობის კონკრეტული გეგმა. აგიტატორთა შემადგენლობა გადავახალისეთ. ახალი ძალებით შევავსეთ ლექტორთა ჯგუფიც. სოფელში საზოგადოებრივ საწყისებზე იმუშავებს რადიორედაქცია.

ᲐᲡᲔ ᲠᲝᲓᲘ ᲘᲥᲪᲔᲕᲘᲐᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ

Ვ. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ,

ბრიგადირი.

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ იმდენი ჭარხალი მოვიყვანეთ, ხელით რომ ამოგვეღო, იანვრამდე ვერ მოვრჩებოდით. მანქანებმა დიდად შეგვიწყო ხელი. მექანიზატორებმა იმარჯვეს. მექანიზაციით ვამუშავებთ სასიმინდე ფართობებსაც, ხეხილის ბაღებსაც. მაგრამ კოლმეურნეობაში ზოგი რამ მაინც ჩამოგვრჩა. საქმე ის არის, რომ ჩვენს შორის ზარმაცებიც არიან. ეს მით უფრო საწყენია, რომ კომუნისტთა რიგებშიც გვხვდებიან ასეთები. პარტიული ორგანიზაცია მათ პასუხს არა სთხოვს.

ხმები დარბაზიდან:

— ივანე აწკარუნაშვილს საკალდებულო მინიმუმიც არა აქვს გამომუშავებული.

— განა მარტო აწკარუნაშვილია?

— არჩილ ბერიანიძეც, სულიკო მაყიშვილი...

— კომუნისტთა ცოლებიც არ მუშაობენ!

მართალია, და მეც სწორედ იმას ვამბობ, რომ ბოლოს და ბოლოს ხომ საჭიროა მკაცრად განვიხილოთ მათი საკითხი პარტიულ კრებაზე. ბევრი უპარტიო მათგან იღებს მაგალითს. რატომ წავიდა აგარაში მეხანძრედ გიგო გოგიძე? სახლი აქა აქვს და კარი. არა სჯობს კოლმეურნეობაში იმუშაოს?! ან გაბო ცერცვაძეს არ უნდა რეცხვენოდეს, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ვაშლის გასაყიდად რომ დადის?!

— მისი ცოლი კი აქ ბოდიშსა ხდის თავის ქმარს, — წამოიძახა ერთმა.

— კომუნისტები თავიანთ ცოლებს ქოლგებს აფარებენ, — გაისმა შეძახილი ქალების მხრიდან.

ესეც მართალია, ჩვენი დანაშაული კი ის არის, რომ არწყენინების პოლიტიკას ვადგავართ, პირში არ ვეუბნებით მათ, არ ვკიცხავთ.

— კუდუხაშვილს ვენახი დასამუშავებელი აქვს, მაგრამ თუ ეტყვი იმუშავეო, გიპასუხებს: რა ვქნა, წელკავი მაქვს, არ შეიძლიაო, — ამბობს კომუნისტი ბრიგადირი ჩ. ცერცვაძე.

პარტიული ორგანიზაცია გავწმინდოთ იმ ერთი-ორი ზარმაცადან, რომლებიც კომუნისტის სახელს არცხვენენ.

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ ᲔᲠᲙᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲘᲬᲐᲡ

Გ. ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔ,

სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი.

ᲥᲔᲑᲘᲗ მოიხსენიეს სატრაქტორო ბრიგადის მუშაობა. მართლაც, შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის ახალი მეთოდის დანერგვამ სახელი აუმაღლა ჩვენს მექანიზატორებს. როგორც იცით, 30 ჰექტარ ჭარხალს სვეტლიჩნისებურად მოვუარეთ. მოსავალიც კარგი მივიღეთ — ჰექტარზე საშუალოდ 450 ცენტნერი. ცენტნერი ჭარხლის მოყვანაზე 80 კაპიკი დავხარჯეთ. კოლმეურნეობას მარტო ამ გზით 8 ათასი შრომადღე დავუზოგეთ. წინა წელთან შედარებით მეურნეობის ყველა დარგში მექანიზაციის ფართოდ დანერგვითა და ეფექტიანი გამოყენებით გაწეულია სულ 30 ათასი შრომა-დღის ეკონომია. ეს მართლაც ერთგვარი მიღწევაა. მაგრამ შეგვეძლო მეტი გაგვეკეთებინა.

ხმა ადგილიდან: ხელი რამ შეგიშალათ?

ყველა ის მანქანა, რომლებითაც სვეტლიჩნი მუშაობს, ჩვენ არ გვქონდა. ამიტომ გაგვიძნელდა შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის ცალკეულ სამუშაოთა მექანიზაციით. სრულყოფილად შესრულება. ამან კი გაზარდა ცენტნერი ჭარხლის თვითღირებულება.

— ახლა ხომ გვაქვს მანქანები?

შარშანდელთან შედარებით საქმე უკეთ არის. ჭარხლის სათესი ახალი მანქანა შევიძინეთ, რაც მთავარია, მოვიტანეთ ბადისებრი ფარცხი, რომლითაც სვეტლიჩნი აწარმოებს მცენარეთა გამოხვრას. ამან გადაწყვიტა ბრიგადის ბრძოლის მოწინავე ხაზზე უნდა იყვნენ. დიდი ძალაა კომკავშირული ორგანიზაციაც, რომელიც 112 კომკავშირელს აერთიანებს. საჭიროა მხოლოდ ახალგაზრდობისადმი მეტი დახმარება. ადამიანებთან მუშაობა მთავარია, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეთა შრომის წახალისებას.

ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲬᲐᲐᲮᲓᲔᲜᲡ ᲠᲔᲒᲕᲔᲜᲘ, ᲤᲐᲗᲔᲠᲐᲙᲡ ᲓᲐᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲡᲐ...

Დ. ᲜᲐᲡᲧᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

პარტბიუროს წევრი.

ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ მოკამათეს ერთ რამეში არ ვეთანხმები: ამინდებმა ხელი არ შეგვიწყოო. ავდარი თუ კარგი დარი მოსავალზე გავლენას ახდენს, მაგრამ ისიც ხომ გაგგონიათ — „საქმეს წაახდენს რეგვენი, ფათერაკს დააბრალებსო". ჰოდა, რაც ჩვენი უხეიროო მუშაობით წაეხდინეთ, ამაზე რათ გაჩუმდებით ხოლმე! პლენუმის დადგენილება მეც წავიკითხე, და აკი იმას გვეუბნება, რომ მიწა კარგად გამოიყენეთო, მოსარწყვნად ყველა ზომა მიიღეთო, მეტი მოსავალი მოიყოლეთ და მეტი მოიხმარეთო.

ჩემი გამოცდილებიდან მინდა გითხრათ რამე. შარშან ორი ნაკვეთი მქონდა მომაგრებული. ერთი ნაკვეთი 0,30 ჰექტარი შედარებით მწირი იყო, მეორე კი გაცილებით უკეთესი. პირველი ნაკვეთიდან 1.800 კილოგრამი სიმინდი მივიღე, ე. ი. ჰექტარზე გადაანგარიშებით 60 ცენტნერი, უკეთესი ნაკვეთიდან კი — მხოლოდ 580 კილოგრამი. რატომ მოხდა ასე?

იმიტომ, რომ წყალი არა გვქონდა საკმარისი. მეორე ნაკვეთს რწყავ დავაკელი, შეიძლებოდა თუ არა მორწყვა? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა! მაგრამ წყალთა მეურნეობის ზოგიერთმა მუშაკმა დღეში სამი ტაფული იცის: ღილით მოვიდოდნენ ბრიგადაში და წყალიც მოვიდოდა, წავიდოდნენ და შუადღისას წყალიც შეწყდებოდა. ყოველ მოთხოვნაზე გვპირდებოდნენ, წყალი იქნებაო, მაგრამ სანამ ისინი თვითონ არ მოვიდოდნენ, წყალს ვერ ვეღირსებოდით.

ან კიდევ, ხილის მოსავლისათვის ზეცას რომ ვემდურებით, რა გვაქვს დასამდური! ხეხილის ბაღებს ძალიან ღრმად რომ მოვხნავთ ხოლმე, 25 სანტიმეტრზე, ხეხილს ფესვი უწყდება და ხმება კიდეც.

— აგროტექნიკოსებო, ხომ აგრეა?

ხმები ადგილიდან: მართალი ხარ, დავით, მართალი!

ახლა ვენახების გასხვლას არ ბეტყავ! ზოგიერთი ჩვენი მევენახე ისე უხეშად სხლავს ვაზსა, რომ მე თუ მკითხავენ, ასეთ ხალხს ტყეში არ შეეშვებდი და ხის მოჭრას არ ვანდობდი.

ამდენი ნაკლი არ გვექნებოდა, მატერიალურ წახალისებას მეტ ყურადღებას რომ ვაქცევდეთ! ხალხი უნდა წავახალისოთ, კარგი მუშაობისათვის პრემიები და ჯილდოები შემოვიღოთ. მაშინ საქმეც წინ წავა. თუ ვინმემ ცუდად იმუშავა და თავისი სიზარმაცით პროდუქტები დაგვაკლო, არც ის უნდა დავივიწყოთ, — დავაჯარიმოთ. მე მგონია, რომ ზოგიერთ დარგში გამოშუშავების ნორმებსაც უნდა გადავხედოთ. ყველამ თავისი შრომის საზღაური სწორად უნდა მიიღოს.

პარტიამ თავისი სიტყვა გვითხრა. ახლა ჯერი ჩვენზეა. ხალხი კი სხვებზე ნაკლები რითა ვართ. ტირიფონელებს კარგი მიწებიცა გვაქვს და არც ხელფეხი გვაკლია, არც თვალი და შეხედულება. თუ ყველა ჩვენგანი კარგად, ვიმრომებთ და მოხერხებულად გამოვიყენებთ მიწას, მერე შეგვეჯიბროს ვისაც ნებავს.

ᲗᲣ ᲙᲘ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲛᲝᲕᲔᲙᲘᲓᲔᲑᲘᲗ...

კამათი დიდხანს გრძელდებოდა. საკამათო კი ზეღდულეთელებს მართლაც ბევრი ჰქონიათ. რადგან ღია პარტიული კრებაა და ჩვენც მოვვიწვიეთ, სიტყვაც გვთქმევინეთო, — ამბობდნენ უპარტიოები.

და აი მათაც თქვეს თავიანთი სათქმელი.

ტრაქტორისტი ა. ცერცვაძე კომპლექსური მექანიზაციის უპირატესობაზე ლაპარაკობდა.

ბერიკაცმა გ. ცერცვაძემ კი თქვა, სახლში უსაქმოდ რა გამაჩერებს, სამუშაოდ ხანდახან მეც გამომიყენეთო.

კრებაზე განაწყენებული გამოვიდა მოხუცი კოლმეურნე მიხეილ სამადელაშვილი — სულ მანქანებს რომ გაიძახით, მანქანებით დავამუშაოთ ყველაფერი, ჩვენ რაღა უნდა გავაკეთოთ?

— მანქანები შრომას გვიმსუბუქებს, ძია მიხო! ამ მანქანებს კი მაინც ადამიანის ხელი სჭირდება, — უპასუხეს მექანიზატორებმა.

— კიდევ იმაზედა ვარ ნაწყენი, — ამბობს ძია მიხო. — რომ შარშან პრემიასა თუ ჯილდოს ლაპარაკობდნენ და დღესაც არ მოუცია. ჰაი დედასა, 12 ტონა ჭარხალი მოვიყვანე და 8 ტონა სიმინდი. განა ეერე აფასებთ კარგ შრომასა?!

— მართალი ხარ, ძია მიხო, ჩვენმა მოანგარიშეებმა ბაჯიანურეს გასული წლის მაჩვენებლების დაჯამება, ამ დღეებში აუცილებლად მიიღებ პრემიას, — უპასუხა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

კრებაზე კიდევ ბევრი საყურადღებო რამ ითქვა. სიტყვებით გამოვიდნენ აგროტექნიკოსი გ. ცერცვაძე, პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელი ა. ქისაშვილი, ბრიგადირი ჩ. ცერცვაძე და სხვები.

ისინი მოითხოვდნენ, რომ განსაკუთრებით საჭიროა მეცხოველეობისადმი ხელმძღვანელობის ამაღლება, ტექნიკის უკეთესი მოვლა, შრომის დისციპლინაზე პარტიული კონტროლის გაძლიერება, პარტიული ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესება, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლება.

სამართლიანად გააკრიტიკეს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ჯ. მაისურაძე, რომელმაც კონკრეტულად ვერ თქვა ახალგაზრდობის მომავალ ამოცანებზე, კომკავშირული რგოლების მუშაობაზე და კრების მონაწილეთა რეპლიკებისაგან დარცხვენილმა დატოვა ტრიბუნა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე და ზეღდულეთელ კომუნისტთა ამოცანებზე ვრცლად ილაპარაკა პარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ტოლიაშვილმა.

— კოლმეურნეობაში 70 კომუნისტია, — თქვა მან, ისინი მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა ბრძოლის მოწინავე ხაზზე უნდა იყვნენ. დიდი ძალაა კომკავშირული ორგანიზაციაც, რომელიც 112 კომკავშირელს აერთიანებს. საჭიროა მხოლოდ ახალგაზრდობისადმი მეტი დახმარება. ადამიანებთან მუშაობა მთავარია, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეთა შრომის წახალისებას.

ᲙᲠᲔᲒᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ

1. დაევალოს კოლმეურნეობის გამგეობას და პარტიულ ბიუროს ყოველი ღონისძიებით იბრძოლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებისათვის, გააუმჯობესონ სასოფლო-სამეურნეო არტელის ყველა დარგისადმი ხელმძღვანელობა, ფერმების გამგეებად, ბრიგადირებად, მერგოლურებად დანიშნონ ყველაზე მოწინავე, გამოცდილი კოლმეურნეები, ასწავლონ მათ მეურნეობის გაძღოლა.

2. განსაკუთრებით გაძლიერდეს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა. პარტიულმა ბიურომ სამუშაოთა პერიოდების მიხედვით შეაფასოს ამ შეჯიბრების მიმდინარეობა და საჭირო შემთხვევაში საკითხ

მეტკიცე ყაირათიანობისათვის, მეუურნეობის გონივრული მართვისათვის, მომჭირნეობისათვის

საფინანსო დარგის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური [illegible]

26 მარტს გაიმართა რესპუბლიკის საფინანსო დარგის მუშაკთა აქტივის თათბირი. საქართველოს უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელები, სამინისტროთა, უწყებათა, მსხვილ საწარმოთა და მშენებლობათა ეკონომისტები, მთავარი ბუხგალტრები, რევიზორები, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს **ვ. პ. მეადანაძემ, გ. დ. ჯავახიშვილმა, პ. ვ. კოვანოვმა, გ. ა. გეგეშიძემ, დ. გ. სტურუამ, ვ. მ. სირაძემ, ი. გ. რთველიაშვილმა, გ. ი. ჩოგოვაძემ, შ. ი. ბანუყაძემ.**

თათბირზე ჩამოვიდნენ სსრ კავშირის ფინანსთა მინისტერი **ვ. ფ. გარბუზოვი**, აზერბაიჯანის სსრ ფინანსთა მინისტრი **კ. ა. ხალილოვი** და სომხეთის სსრ ფინანსთა მინისტრი **ა. კ. შეკოიანი.**

მოხსენება „რესპუბლიკის საფინანსო ორგანოების ამოცანები სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა **ბ. ა. ჩხეიძემ.**

საქართველოს ეკონომიკა ჯერ არასოდეს არ განვითარებულა ასე სწრაფად, როგორც უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე. მოძხსენებელმა დაახასიათა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურის განვითარებაში მიღწეული [illegible]

საფინანსო ორგანოები ავლენენ ბიუჯეტის შემოსავლის დამატებითს წყაროებს. ამისათვის ისინი ამუშავებენ და შეაქვთ წინადადებანი, რომელთა მიზანია გამოყენებულ იქნეს ადგილობრივი ნედლეული და ნარჩენი სახალხო მოხმარების საქონლის გამოსაშვებად. ხელკენკრის ღვინოების წარმოებამ, რაც მოუტანა ფინანსთა სამინისტროს წინადადებით, მაგალითად, დამატებით მოგება 1.100 ათასი მანეთი ბრუნვის გადასახადი.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის ბიუჯეტში უნდა შემოვიდეს 277,8 მილიონი მანეთი მოგების ანარიცხების სახით, ე. ი. ერთახეკვარჯერ მეტი, ვიდრე 1958 წელს. მოგების ანარიცხები ბიუჯეტის ძველი შემოსავლის 25 პროცენტს შეადგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, არის საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ თვითღირებულებისა და მოგების გეგმებს. საჭიროა სისტემატიურად შევამოწმოთ და გამოვავლინოთ ჩამორჩენის მიზეზები, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა საფინანსო გეგმები განუხრელად სრულდებოდეს.

კომუნისტური პარტია ყველა ხელმძღვანელისაგან მოითხოვს მომჭირნეობით ხარჯონ სახალხო სახსრები, არ დაუშვან რაიმე მფლანგველობა, გადაჭრით აღკვეთონ იგი.

საჭიროა, განაგრძობს მომხსენებელი, დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ ფლანგველობას და სასტიკად დავსაჯოთ ის სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებიც არღვევენ სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინას, არ ასრულებენ ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე, არ იცავენ საფინანსო დისციპლინას. სკკპ XXII ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა: „მეურნეობის სოციალისტური მართვა მოითხოვს იმის უნარს რომ ღრმად, საქმის ცოდნით ანალიზი გაუკეთოთ საწარმოების მშენებლობების, მრეწველობის დარგების საქმიანობის ეკონომიურ მხარეს. სამეურნეო მშენებლობის საქმესთან არ შეიძლება გაგაჩერო ისეთი ძუშაკები, რომლებიც ან ვერ შეეჩვევნენ, ან რომლებმაც არ იციან, სახელმწიფო ფულის ანგარიში, რომლებსაც თავიანთ ამოცანად მხოლოდ ის მიაჩნიათ, რომ ყოველგვარი საშუალებით შეასრულონ გეგმა... უნდა გავალეიროთ მანეთით კონტროლი წარმოების ყველა სფეროში, ეკონომია დიდსა და პატარა საქმეში, ბუნებრივ სიმდიდრეთა და მატერიალურ ფასეულობათა მიზანშეწონილი გამოყენება უნდა ავიყვანოთ სახელმწიფო პოლიტიკის დონემდე“.

ამ მითითებიდან საქმირო დასკვნები უნდა გამოიტანოს სამეურნეო ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელმა, საფინანსო ორგანოები მოვალენი არიან გადაჭრით გაადიერონ კონტროლი ორგანიზაციათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისაში.

მოხსენებაში დიდი ყურადღება დაეთმო საწარმოებში ზარალის შემცირების, ეგრეთწოდებული რეალიზაციის გარეშე არამწარმოებლური ხარჯების მიზეზთა წარმოშობის საკითხებს. ილაპარაკეს ზენორმატიული მარაგის ლიკვიდაციასა და იმაზე, რომ არ დაუშვან ისეთი პროდუქციის ზეგეგმითი წარმოება, რომლის გასაღება შეზღუდულია. ამის საჭიროება იმით არის ნაკარნახევი, რომ საქონლისა და მატერიალურ ფასეულობათა ნაშთები სახალხო მეურნეობის საბჭოს და აღგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმოებში მნიშვნელოვან ციფრს შეადგენს.

მიუხედავად მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელთა მიზანია სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება, მეტ წილ ამ ორგანიზაციას აქვს არადამაკმაყოფილებელი ფინანსური შედეგები და ვერ უზრუნველყოფენ თავიანთ ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე. შარშან არ შესრულებულა სადირექტივო დავალება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების შემცირებისათვის, ბევრმა ორგანიზაციამ დაუშვა მშენებლობათა გაძვირება. საფინანსო ორგანოებმა და მშენბანკის დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ ქმედითი ღონისძიებანი სამშენებლო ორგანიზაციათა ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

იმ საწარმოთა საბუხჰალტრო ანგარიშგებისა და ბალანსების შემოწმების გაუმჯობესებას, რომლებიც მოგებისაგან მიღებული ანარიცხების გადამხდელები არიან, მოწმობს ის ფაქტი, რომ შარშან საანგარიშო შემოწმებათა შედეგად დამატებით იქნა ანარიცხული 2,7 მილიონი მანეთი გადასახდელი.

რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოებულმა შემოწმებებმა გამოავლინეს სერიოზული ნაკლოვანებანი ამბროლაურის, ახალქალაქის, ბოლნისის, ვიგეშკორის, ლუშეთის, ლაგოდეხის, ლანჩხუთისა და სხვა რაიონების აღგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშაობაში. ეს ნაკლოვანებანი ის არის, რომ ვერ უზრუნველყოფენ საბიუჯეტო დაგროვებისა და გადასახდელთა გეგმების შესრულებას, უშვებენ დარღვევებსა და ბორტმომქმედებასაც კი. რესპუბლიკის ძალ რვ ავტომეურნეობებში აღმოჩენილია მანქანების გარბენის, გადატანილი ტვირთის რაოდენობის წმაატების, ხელფასის უკანონო გადახდის ფაქტები.

საჭონლის ზენორმატიული ნაშთები და მიმოქცევის დიდი ხარჯები და სხვა ნაკლოვანებანი საბჭოთა ვაჭრობის დარგში იწვევენ მოგების გეგმის ჩაშლას, მაშასადამე, საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმის შეუსრულებლობასაც. არ სრულდება სანახაობრივი საწარმოების, კერძოდ, კინოთეატრებისა და კინოდანადგარების გადასახადის შემოსავლის გეგმები. საფინანსო ორგანოების მხრივ კონტროლის შესუსტებით სარგებლობენ არაკეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ არიან საბჭო ორგანიზაციებში, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში. სამკერვალო სახელოსნოებში, მაგალითად, გამოვლინებულია შემთხვევები, როცა არ აფორმებენ მიღებულ შეკვეთებს და ითვისებენ სახსრებს. საჭიროა არა მარტო სისტემატიური კონტროლი გაეუწიოთ საკაპრო ორგანიზაციებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობას, არამედ მიგაღწიოთ მის გაუმჯობესებასაც.

მინისტრმა თათბირის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს შემნახველი სალაროების, ყველა სახეობის სახელმწიფო დაზღვევის მუშაობა.

საფინანსო ორგანოების წინაშე, თქვა მან, დასახულია დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — ბიუჯეტის შესრულებასთან ერთად უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა შეუფერებელი დაფინანსება, აკრეფილ სახსრების ყაირათიანი გამოყენება.

რესპუბლიკის 1962 წლის ბიუჯეტიდან სახალხო მეურნეობის დაფინანსებას მოხმარდება 304,7 მილიონი მანეთი. დიდძალი კაპიტალური დაბანდებანი გათვალისწინებულია მრეწველობის წამყვანი დარგების, აგრეთვე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. მიმდინარე წლის მშენებლობის სატიტულო სიებში შეტანილია სპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციათა და მატერიალური ფონდებით უზრუნველყოფილი ობიექტები. ამ პირობებში განსაკუთრებულ დიდ მნიშვნელობას ენიჭება საფინანსო ორგანოების კონტროლის გაძლიერებას კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებისათვის საწარმოთა და ორგანიზაციათა საკუთარი სახსრების შეტანის გეგმების შესრულებისადმი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში ჩამორჩენაა, რომელიც მშენბანკთან ერთად უნდა აღმოვფხვრათ.

რესპუბლიკის 1962 წლის ბიუჯეტით მნიშვნელოვანი სახსრებია გათვალისწინებული საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარ საბრუნავ საშუალებათა მატებისათვის ხარჯების დასაფინანსებლად. სახსრების გაცემა ბიუჯეტიდან იწარმოებს საწარმოო დავალებათა შესრულების კეალობაზე. საფინანსო ორგანოებმა უნდა განახორციელონ მტკიცე კონტროლი საბრუნავ საშუალებათა სწორი გამოყენებისადმი.

სკკპ XXII ყრილობამ, განაგრძო მომხსენებელმა, ღასახა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გრანდიოზული პროგრამა. სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში კარდინალური ღონისძიებანი განახორციელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსავითარებლად გამოიყოფა დიდძალი სახსრები. მაგრამ სოფლის მეურნეობის დასაფინანსებლად დაკვეთრდება გაცილებით მეტი სახსრები, ვიდრე რესპუბლიკის ბიუჯეტით არის გათვალისწინებული. ამის შესაბამისად საჭიროა გამოვავლინოთ შინაგანი წყაროები დამატებით ღონისძიებათა მომავალი ხარჯების დასაფარავად.

საბჭოთა მეურნეობების 1961 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის წინასწარი მონაცემები ცხადყოფენ, რომ რენტაბელურად მომუშავე საბჭოთა მეურნეობებთან ერთად ჯერ კიდევაა ისეთი მეურნეობანი, განსაკუთრებით კი მეცხოველეობისა და მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობანი, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საწარმოო გეგმების შესრულებას და უშვებენ მატერიალური და ფულადი სახსრების გადახარჯვას, პროდუქციის მაღალ თვითღირებულებას, აქვთ დიდი ზეგეგმითი ზარალი. ახლა მიმდინარეობს სახალაოდად მომუშავე საბჭოთა მეურნეობების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება. ამ შემოწმების შედეგების მიხედვით შემუშავებულ იქნება კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საბჭოთა მეურნეობების ზარალიანობის ლიკვიდაციას.

ყოველდღიურად უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ და გავაიაფოთ საბჭოთა მეურნეობების აღმინისტრაციულ-მმართველობითი და სამეურნეო აპარატი, რაც დადებითად იმოქმედებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე.

დიდი ყურადღება უნდა დაუთმოთ კონტროლს ბიუჯეტის იმ სახსრების სწორი გამოყენებისადმი, რაც ხმარდება სახელმწიფო ღონისძიებათა დაფინანსებას სოფლის მეურნეობის დარგში.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ გაბარდა საფინანსო ორგანოების, საკონტროლო-სარევიზიო აპარატის როლი, მთავარი ყურადღება ექცევა რეზერვების გამოვლენებას საწარმოებში, მეურნეობებში, გადაჭრით ძლიერდება ბრძოლა არამწარმოებლური ხარჯებისა და დანაკარგების, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა ფლანგვისა და დატაცების წინააღმდეგ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა აღმინისტრაციულ-მმართველობითი პერსონალის შემდგომი სრულყოფისა და შემცირებისათვის, რომ საჭიროა პრაქტიკულად დაინერგოს რევიზიების მოწყობა სახოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, გამოტანილ მოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების სამეურნეო აქტივების, საერთო კრებების განსახილველად, რომელთა რევიზიაც მოეწყო. დიდ სარგებლობას მოიტანს აგრეთვე ჩამორჩენილ საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების განხილვა მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებზე.

დასასრულ ამბ. ჩხეიძემ რწმენა გამოთქვა, რომ რესპუბლიკის საფინანსო ორგანოების მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ფარამტებით შეასრულონ ყოველ ამოცანები, რომლებიც სკკპ XXII ყრილობამ დაუსახა საფინანსო ორგანოებს.

ტრიბუნაზეა აფხაზეთის ასსრ ფინანსთა მინისტრი **დ. მ. ჯიმონაია.** მან თქვა, რომ აფხაზეთის საფინანსო ორგანოებმა გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს. მაგალითად, შარშან ბიუჯეტი შემოსავლის დარგში შესრულებულია 101,1 პროცენტით, რამაც უზრუნველყო, რომ დამატებით შემოსულიყო 257 ათასი მანეთი. ზეგეგმით შემოსავლის მეოხებით შესაძლებელი გახდა გაუთვალისწინებელი ხარჯები გაგეწია სპინაო მშენებლობის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

ახლა ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოთ შეიდწლედის მეოთხე წლის საფინანსო გეგმები. საჭიროა შესრულდეს მუშაობა საფინანსო მუშაკთა კიდრების შემადგენლობის გასაუმჯობესებლად, მათი საქმიანი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ორატორმა უსაყვედურა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომ სამინისტრო ყოველთვის როდი ითვალისწინებს შესაძლებლობებს, როცა აღგილობრივ საფინანსო ორგანოებში გზაგნის დავალებებს, და ამბობს, რომ ამ ფაქტებმა ადამიანებში [illegible]

სურათზე: საქართველოს სსრ საფინანსო ორგანოების აქტივის რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. (მარცხნიდან) სხედან — რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე **თ. ცინცაძე**, დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე **ე. ბარაბანიძე**, გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე **ბ. როსტოშვილი**, ქ. თბილისის კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე **ნ. პატარიძე**; დგანან — ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების უფროსი ინსპექტორი **ა. უზნაძე**, ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე **მ. კაკალაძე** და ცხინვალის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების უფროსი ინსპექტორი **ვ. ძელეხსაძე.**

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ფა დიდძალი სახსრები. მაგრამ სოფლის მეურნეობის დასაფინანსებლად დაკვეთრდება გაცილებით მეტი სახსრები, ვიდრე რესპუბლიკის ბიუჯეტით არის გათვალისწინებული. ამის შესაბამისად საჭიროა გამოვავლინოთ შინაგანი წყაროები დამატებით ღონისძიებათა მომავალი ხარჯების დასაფარავად.

საბჭოთა მეურნეობების 1961 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის წინასწარი მონაცემები ცხადყოფენ, რომ რენტაბელურად მომუშავე საბჭოთა მეურნეობებთან ერთად ჯერ კიდევაა ისეთი მეურნეობანი, განსაკუთრებით კი მეცხოველეობისა და მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობანი, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საწარმოო გეგმების შესრულებას და უშვებენ მატერიალური და ფულადი სახსრების გადახარჯვას, პროდუქციის მაღალ თვითღირებულებას, აქვთ დიდი ზეგეგმითი ზარალი. ახლა მიმდინარეობს სახალაოდად მომუშავე საბჭოთა მეურნეობების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმება. ამ შემოწმების შედეგების მიხედვით შემუშავებულ იქნება კონკრეტული წინადადებანი, [illegible]

ნობაზე. შარშან დიდი მუშაობა განხორციელდა საფინანსო გეგმების შესასრულებლად. ქ. თბილისის 1961 წლის ბიუჯეტი შესრულებულია გასავალზე შემოსავლის 1.199 ათასი მანეთის გადაჭარბებით.

ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა წარმატებით გაანაღდეს თავიანთი დავალებანი, შრომის ნაყოფიერების გეგმა მათ 2,1 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღწეულია ზეგეგმითი ეკონომია თითქმის 9 მილიონი მანეთის ოდენობით, ხოლო ზეგეგმითმა მოგებამ 8,6 მილიონი მანეთი შეადგინა.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, საფინანსო ორგანოები ახლა მეტი ყურადღებით ეკიდებიან საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობას. ამის შედეგად 1962 წელს მთელ რიგ საწარმოებში გამოვლინებულია სერიოზული ნაკლოვანებანი პროდუქციის გამოშვების, თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებათა დაგეგმვაში. კონკრეტული ღონისძიებანი ხორციელდება ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დადებითის შედეგებს იძლევა საწარმოთა მუშაობის განხილვა ფაბრიკა-ქარხნების საწარმოო თათბირებზე. ეს ხელს უწყობს ნაკლოვანებათა გამოვლინებას და სწრაფად აღმოფხვრას, დამატებითი რესურსების გამოსახვას.

ორატორი აღნიშნავს, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს ფართო საზოგადოებრივის მზიდველს კონტროლის საქმეში. საფინანსო მუშაკები თავიანთ მუშაობაში ეყრდნობიან ინსპექციისა და კონტროლის კომისიებს, რომლებიც საწარმოებსა და დაწესებულებებში შეიქმნა პარტიულ, და პროფკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით. პირველი დადებითი შედეგები მოჰყვა აგრეთვე საზოგადოებრივ ინსპექციათა საქმიანობას საფინანსო კონტროლის დარგში, რომლებიც მოეწყო თბილისის საქალაქო აღმასკომისა და რაიაღმასკომების საფინანსო განყოფილებებთან.

ორატორი პირობას აძლევს თათბირის მონაწილეთ, რომ რესპუბლიკის დედაქალაქის საფინანსო მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ფარამტებით შეასრულონ ამოცანები, რომლებიც სკკპ XXII ყრილობამ დაუსახა საფინანსო ორგანოებს.

ტრიბუნაზეა აფხაზეთის ასსრ ფინანსთა მინისტრი **დ. მ. ჯიმონაია.** მან თქვა, რომ აფხაზეთის საფინანსო ორგანოებმა გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს. მაგალითად, შარშან ბიუჯეტი შემოსავლის დარგში შესრულებულია 101,1 პროცენტით, რამაც უზრუნველყო, რომ დამატებით შემოსულიყო 257 ათასი მანეთი. ზეგეგმითი შემოსავლის მეოხებით შესაძლებელი გახდა გაუთვალისწინებელი ხარჯები გაგეწია სპინაო მშენებლობის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

ახლა ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოთ შეიდწლედის მეოთხე წლის საფინანსო გეგმები. საჭიროა შესრულდეს მუშაობა საფინანსო მუშაკთა კიდრების შემადგენლობის გასაუმჯობესებლად, მათი საქმიანი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ორატორმა უსაყვედურა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომ სამინისტრო ყოველთვის როდი ითვალისწინებს შესაძლებლობებს, როცა აღგილობრივ საფინანსო ორგანოებში გზაგნის დავალებებს, და ამბობს, რომ ამ ფაქტებმა ადამიანებში [illegible]

საფინანსო ორგანოების გულისხმიერ ყურადღებას მოითხოვს, ეს არის აგრეთვე მშენებლობის შინაგანი რესურსების მობილიზაციის გეგმის შესრულება. მან დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ მალე გადაიტრას მოიჯარე სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა საკუთარი სამრეწველო საშუალებებით აღჭურვისა და შემკვეთთა ავანსების გაუქმების საკითხი.

აჭარის ასსრ ფინანსთა მინისტრმა ს. ს. ჯიჯეიშვილმა ილაპარაკა საფინანსო ორგანოების მუშაკთა აქტიური როლის შესახებ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მუშაობის კონტროლის დარგში. ისინი ანალიზებენ საწარმოთა და მშენებლობათა მაჩვენებლებს, აკეთებენ ზეგმეტ სამუშაო ძალასა და საშტატო განრიგების დარღვევებს, მატერიალურ ფასეულობათა გადახარჯვას, არამწარმოებლურ ხარჯებს.

იმ საწარმოებთან ერთად, სადაც თითოეულ კაპიკს ზუსტად აღრიცხავენ და წესრიგიერთნი იზრდება დაგრეგება, საჭიროებენ, ჯერ კიდევაა ისეთი საწარმოებიც, სადაც უშვებენ საფინანსო დისციპლინის სხვადასხვა დარღვევას.

ორატორმა მოიყვანა ფაქტები, როცა საფინანსო ორგანოების მუშაკთა ინიციატივით ავლენენ დამატებითს წყაროებს ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის, იმ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის, კერძოდ, ინპარების დაგეგვის, ბიუჯეტების შედეგების პრაქტიკის შეცვლის შესახებ.

მან აღუთქვა თათბირს, რომ აჭარის საფინანსო ორგანოები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა უზრუნველყონ სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულება.

გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მუშაკთა ინიციატივაზე ილაპარაკა ამ განყოფილების გამგემ **გ. ი. როსტოშვილმა.** მიმდინარე წლის დამდეგისათვის ბიუჯეტის გარდამავალმა ნაშთებმა მიაღწია 215 ათას მანეთს. ეს, აგრეთვე სახელმწიფო შემოსავლის გეგმის შესრულების წარმატებით მიმდინარეობა მიმდინარე წელს საშუალებას მოგვცემს გადავიცხოთ რესპუბლიკურ ბიუჯეტში 380 ათას მანეთზე მეტი. ასეთია ჩვენი პირველი წელილი იმ ღონისძიებათა შესრულებისათვის მატერიალური ხარჯების უზრუნველყოფაში, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაიტის პლენუმმა დაგვისახა.

რაიონის საფინანსო მუშაკები ინიციატივას იჩენენ აღგილობრივი რესურსების გამოყენების საქმეშიც, რაც მნიშვნელოვან მოგებას იძლევა.

ორატორმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ზარალს აყენებს რაიონის სოფლის მეურნეობას.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **თ. პ. ბუაჩიძე** შეეხო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის ფინანსურ მხარეს, აღნიშნა ამ საქმეში არსებული სიძნელენი. რესპუბლიკის თეატრები განიცდიან ფინანსურ დაბრკოლებებს. ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ თეატრების ხელმძღვანელებმა და კოლექტივებმა ვერ შეძლეს თავიანთი მუშაობის გარდაქმნა ახალი, გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად.

უკანასკნელ წლებში თეატრების სახელმწიფო დოტაციები შემცირდა. ამავე დროს ზოგიერთი მათგანი გაუმართლებლად დიდ სახსრებს ხარჯავს ცალკეული სპექტაკლის დადგმისათვის. არის შემთხვევები, როცა სპექტაკლის დადგმის განსახორციელებლად იხარჯება სახსრები, რაც საქმისადმი გონივრული მიდგომით სამი სპექტაკლის დადგმას ეყოფოდა. სახალხო სახსრების ამგვარი უყაირათო ხარჯვის ფაქტებს გადაჭრით უნდა ებრძოლოთ.

ამბ. ბუაჩიძემ აღნიშნა კინოფიკაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასა და კინოგაქირავების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებანი, ამასთან დასძინა, რომ გეგმების შესრულება დამოკიდებულია თვით ფილმების ხარისხზეც.

არის ბევრი სხვა მიზეზიც, რომლებიც ხელს უშლიან საფინანსო დისციპლინის შესრულებას.

კულტურის ფრონტის მუშაკები, — თქვა დასასრულ ორატორმა, — ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ იდგნენ პარტიისა და მთავრობის მოთხოვნებს სიმაღლეზე.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მრეწველობის დაფინანსების სამართველოს ეკონომიური მუშაობის ზოგიერთ საკითხს მიაპყრო თათბირის მონაწილეთა ყურადღება სამმართველოს უფროსმა **ვ. ს. ზურაბიშვილმა.** მნიშვნელოვანი მუშაობა. შესრულდა ბიუჯეტში ფულადი რესურსების მობილიზებისა და გეგმით დასახულ ღონისძიებათა შეუფერხებელი დაფინანსების უზრუნველყოფისათვის. მაგრამ ეს მუშაობა არ ამოწურულა საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველგვეყო დავალების შესრულება ბიუჯეტის შემოსავლის ისეთი დიდმნიშვნელოვანი წყაროს ხაზით, როგორიც არის მოგების ანარიცხები. მაგალითად, სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით ბიუჯეტში გადასახდელთა 1961 წლის გეგმის მთლიანად შესრულებას აკლია 2,3 პროცენტი. გათვალისწინებულია გასული წლის ნაკლოვანებანი და დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი მათი აღმოფხვრისათვის.

აგრეთვე საფინანსო ორგანოებს დაბარებას ვუწევთ, რათა გაძლიერონ კონტროლი საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საბრუნავი სახსრების დაცვისადმი. მიმდინარეობს დარგობრივი სამმართველოებისა და ტრესტების წლიური საბუხჰალტრო ანგარიშგების განხილვა და ანალიზი.

დიდი მუშაობაა მოსალოდნელი მძიმე მრეწველობის პროდუქციის ახალი სამეთუმო ფასების პრეისკურანტებისა და ტვირთის ვადაზიდვის ტარიფების პროექტების განსახილველად.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საფინანსო ორგანოების საქმიანობაზე ილაპარაკა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საფინანსო განყოფილების უფროსმა **ვ. ს. აბზიანიძემ.** საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის, მათი საწარმო და საფინანსო შესაძლებლობათა ღრმა შესწავლა საშუალებას მოგვცემს დასაბუთებულად დავგეგმოთ შემოსავალი და გასავალი, უფრო სრულად გამოვიყენოთ წარმოების რეზერვები. ამის შედეგად გაღიდდა წარმოების რენტაბელობა, გაიზარდა მოგება.

მნიშვნელოვანი მუშაობა სრულდება გეგმით გათვალისწინებულ საზარალო საწარმოთა ფინანსური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად. მაგრამ სახალხო მეურნეობის საბჭოს ზოგიერთი სამმართველო, ტრესტი და ორგანიზაცია საკმაოდ [illegible]

ბერკეტებს საფინანსო საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ამით აიხსნება ის, რომ მთელ რიგ საწარმოებში დაშვებულია რეალიზაციის გარეშე დანაკარგი და სხვა დაუგეგმავი ზარალი.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება ავალებს საფინანსო ორგანოებს ყველა ღონისძიებით გაუმჯობესონ მუშაობა, შექმნან პირობები იმისათვის, რომ უთუოდ უზრუნველყოფილი იყოს ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შესრულება. ორატორი აანალიზებს საწარმოთა და მშენებლობათა ანალიზებს, ავლენებენ ზედმეტ სამუშაო ძალასა და საშტატო განრიგების დარღვევებს, მატერიალურ ფასეულობათა გადახარჯვას, არამწარმოებლურ ხარჯებს.

იმ საწარმოებთან ერთად, სადაც თითოეულ კაპიკს ზუსტად აღრიცხავენ და წესრიგიერთნი იზრდება დაგრეგება, საჭიროებენ, ჯერ კიდევაა ისეთი საწარმოებიც, სადაც უშვებენ საფინანსო დისციპლინის სხვადასხვა დარღვევას.

ორატორმა მოიყვანა ფაქტები, როცა საფინანსო ორგანოების მუშაკთა ინიციატივით ავლენენ დამატებითს წყაროებს ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის, იმ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის, კერძოდ, ინპარების დაგეგვის, ბიუჯეტების შედეგების პრაქტიკის შეცვლის შესახებ.

მან აღუთქვა თათბირს, რომ აჭარის საფინანსო ორგანოები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა უზრუნველყონ სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულება.

გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების მუშაკთა ინიციატივაზე ილაპარაკა ამ განყოფილების გამგემ **გ. ი. როსტოშვილმა.** მიმდინარე წლის დამდეგისათვის ბიუჯეტის გარდამავალმა ნაშთებმა მიაღწია 215 ათას მანეთს. ეს, აგრეთვე სახელმწიფო შემოსავლის გეგმის შესრულების წარმატებით მიმდინარეობა მიმდინარე წელს საშუალებას მოგვცემს გადავიცხოთ რესპუბლიკურ ბიუჯეტში 380 ათას მანეთზე მეტი. ასეთია ჩვენი პირველი წელილი იმ ღონისძიებათა შესრულებისათვის მატერიალური ხარჯების უზრუნველყოფაში, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაიტის პლენუმმა დაგვისახა.

რაიონის საფინანსო მუშაკები ინიციატივას იჩენენ აღგილობრივი რესურსების გამოყენების საქმეშიც, რაც მნიშვნელოვან მოგებას იძლევა.

ორატორმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ზარალს აყენებს რაიონის სოფლის მეურნეობას.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **თ. პ. ბუაჩიძე** შეეხო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის ფინანსურ მხარეს, აღნიშნა ამ საქმეში არსებული სიძნელენი. რესპუბლიკის თეატრები განიცდიან ფინანსურ დაბრკოლებებს. ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ თეატრების ხელმძღვანელებმა და კოლექტივებმა ვერ შეძლეს თავიანთი მუშაობის გარდაქმნა ახალი, გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად.

უკანასკნელ წლებში თეატრების სახელმწიფო დოტაციები შემცირდა. ამავე დროს ზოგიერთი მათგანი გაუმართლებლად დიდ სახსრებს ხარჯავს ცალკეული სპექტაკლის დადგმისათვის. არის შემთხვევები, როცა სპექტაკლის დადგმის განსახორციელებლად იხარჯება სახსრები, რაც საქმისადმი გონივრული მიდგომით სამი სპექტაკლის დადგმას ეყოფოდა. სახალხო სახსრების

აღმოიფხვრას საფრთხე, რომელიც კუბას მოელის

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 24 მარტი. საკადესის კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო იუწყება:

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ბ. დ. მოროზოვმა უშიშროების საბჭოს გუშინდელ სხდომაზე მხარი დაუჭირა რეზოლუციის პროექტს, რომელიც კუბის მთავრობამ წარადგინა საბჭოთა ფლოტთა განსახილველად. რეზოლუციის პროექტი მოითხოვს, რომ უშიშროების საბჭომ მოსთხოვოს საერთაშორისო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა პუნტა-დელ-ესტეს კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების ხელგაწერით მიღებული კუბის წინააღმდეგ მიმართული გადაწყვეტილებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და ამერიკის სახელმწიფოთა რეგიონალური ორგანიზაციის წესდებას. რეზოლუციის პროექტი შეიცავს აგრეთვე მოთხოვნას, რომ უშიშროების საბჭომ წინასწარ ღონისძიებად შეიჭიროს პუნტა-დელ-ესტეში მიღებულ გადაწყვეტილებათა მოქმედება, რამდენადაც ეს გადაწყვეტილებები უკანონოა საერთაშორისო სამართლის, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თვალსაზრისით.

რეზოლუციის განსახილველი პროექტი, თქვა ბ. დ. მოროზოვმა ის მინიმუმია, რომელიც საჭიროა, რათა უშიშროების საბჭოს, მიიღოს რა საერთაშორისო სასამართლოს დასკვნას რეზოლუციის პროექტში ჩამოთვლილი იურიდიული საკითხების შესახებ, შესაძლებლობა ჰქონდეს დაუბრუნდეს შემდეგ საკითხის პოლიტიკური ასპექტების გადაჭრას და მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც ბოლოს აღმოფხვრიდა სერიოზულ საფრთხეს, რაც კუბის რესპუბლიკას მოელის, საფრთხეს, რომელსაც შეუძლია ეროზიული გართულებანი გამოიწვიოს არა მარტო კარიბის ზღვის რაიონში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

აქ უკვე აღინიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, რაკი დამარცხება განიცადა კუბის წინააღმდეგ შეიარაღებულ ინტერვენციაში, რომელიც გასული წლის აპრილში მოეწყო, გადაწყვიტა განეხორციელებინა ღონისძიებანი, რომ შეეკვეთა ახალი შეიარაღებული ინტერვენციის მომზადება, რომელიც დაიწყო პირველი ინტერვენციის ჩაშლისთანავე, პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის ახალი ფართო ღონისძიებებით, რათა მოეხდინა კუბის იზოლაცია. ასეთი ღონისძიებებია ის აქციები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ პუნტა-დელ-ესტეს კონფერენციაზე განახორციელა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სწორედ იქ მოახვიე თავს რეგიონალურ ორგანიზაციას იძულებით ღონისძებათა განხორციელება კუბის წინააღმდეგ, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიხედვით შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უშიშროების საბჭოს სანქციით. კუბის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის ამ ახალი გამოხატულების მხილება და აღკვეთა დიდწინაშეხელოკანი აუშეულება იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ ომის მზადებისა და კუბაში შეიარაღებული შეჭრის გეგმების განხორციელებას. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ილპარაკა, თუ რა გაფაცებით ამზადებენ ამერიკის შეერთებული შტატები ახალ აგრესიას კუბის წინააღმდეგ, თუ რა მძლავრი სამხედრო ძალებია თავმოყრილი უშუალოდ კუბის ახლოს, აღნიშნა, რომ გადადებულია ამერიკის ბაზის გუანტანამოს ჯარნიზონი, რომ შეერთებული შტატები აიარაღებენ კუბელ კონტრრევოლუციონერთა ახალ და ახალ ჯგუფებს.

ბ. დ. მოროზოვმა თქვა აგრეთვე, რომ კუბის მთავრობა სწორედ 18 მარტს იძულებული გახდა მტკიცე პროტესტი განეცხადებინა კუბელებთან გუანტანამოს სამხედრო ბაზის რაიონში იმ შეხლა-შემოხლისა და შეტაკებათა წინააღმდეგ, რომლებსაც ამერიკის შეიარაღებული ძალები პროვოკაციით აწყობენ.

და ამის შემდეგ ამერიკის წარმომადგენლები ბედავენ წამოაყენონ ბრალდებანი, რომ კუბის მთავრობა ახორციელებს „აგრესიისა და ძირგამომთხრელ საქმიანობას". ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა უშიშროების საბჭოში ისიც კი თქვა, რომ კუბა „საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ბლოკის ბაზაა ამერიკის კონტინენტზე". მაგრამ ხომ მთელმა მსოფლიომ იცის, რომ კუბაში უცხოელთა მხოლოდ ერთი ბაზაა და ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების ბაზა, რომელიც კუბის მიწა-წყალზე შექმნილია კუბელი ხალხის ნების წინააღმდეგ, თანაც საერთაშორისო სამართლის დარღვევით, რამდენადაც კუბის ახლანდელ მთავრობას ამის შესახებ არა აქვს დადებული რაიმე შეთანხმება ამერიკის შეერთებულ შტატებთან. საერთოდ ამერიკის შეერთებული შტატები მეტად უცნაურად უდგებიან საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაუყვიტეს ყოველგვარი ურთიერთობა კუბასთან. უკანასკნელ პრეს-კონფერენციაზე კი ამერიკის შეერთებული ტტატების პრეზიდენტი ამტკიცებდა, „კუბის ტერიტორიის ნაწილი გუანტანამო შეერთებული შტატების ტერიტორიაა.

ეს საერთაშორისო სამართლის ჭეშმარიტად უპრეცედენტო ინტერპრეტაციაა.

განის წარმომადგენლის წინადადებით, კუბის რეზოლუციის პროექტის პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს, რომ საჭიროა ტერმინის „იძულებითი მოქმედება" ზუსტი იურიდიული განსაზღვრა, ცალკე უყარეს კენჭი. ამ პუნქტს ხმა მისცეს საბჭოთა კავშირმა, რუმინეთმა, განამ და არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ. შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა, ჩანკაიშელმა, ვენესუელამ, ჩილიმ და ირლანდიამ ხმა მისცეს ამ პუნქტის წინააღმდეგ, არსი გამოაცალეს რა ამით რეზოლუციის პროექტს.

ამის შედეგად კუბის დელეგატმა მოხსნა რეზოლუციის პროექტი, რამდენადაც ამ რეზოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტის მიღება ჩაიშალა ამერიკის შეერთებული შტატების კარნახით.

არსი გამოაცალა რა კუბის რეზოლუციის პროექტს, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა დემოხსტრაციულად დაჟინებით მოითხოვა კენჭი ეყარათ მთელი რეზოლუციის პროექტისათვის. საბჭოთა წარმომადგენელმა განმარტა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ასეთი. მოთხოვნის უსაფუძვლობა. მაგრამ თავმჯდომარემ—ვენესუელის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ამერიკის წარმომადგენლის მოთხოვნას და კენჭი უყარა რეზოლუციის პროექტს, თუმცა უკვე ნათელი იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მათი ამყოლი ქვეყნები რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ მისცემდნენ ხმას. სწორედ ასე მოხდა. უშიშროების საბჭოს იმავე შვიდმა წევრმა, რომლებმაც ხმა მისცეს რეზოლუციის პროექტის ცალკე პუნქტის წინააღმდეგ, მოელი ამ პროექტის წინააღმდეგ მისცა ხმა. რეზოლუციის პროექტს მხარი დაუჭირეს სსრ კავშირისა და რუმინეთის წარმომადგენლებმა. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა, რომელმაც შესამნევად შეიცვალა პოზიცია იმ პოზიციასთან შედარებით, რომელიც გამოთქმული იყო უშიშროების საბჭოს ვუშინდელ სხდომაზე, თავი შეიკავა კენჭისყრაში. განის წარმომადგენელს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

საბჭოთა წარმომადგენელმა ბ. დ. მოროზოვმა, რომელმაც კენჭისყრის შემდეგ აღნიშნა, ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კუბის სამართლიანი მოთხოვნის წინააღმდეგ გამოვიდნენ, რამდენადაც მათ ეშინოდათ საერთაშორისო სასამართლოს აზრისა. ხომ ყველასთვის ნათელია, რომ სამართლიანობა და საერთაშორისო სამართალი ამერიკის შეერთებული შტატების მხარეზე კი არ არის, არამედ კუბის მხარეზეა. საბჭოთა წარმომადგენელმა მოაგონა მათ, ვინც კუბის წინააღმდეგ აგრესიის გეგმებს ამზადებს, რომ კუბა მარტო არ არის, კუბის მხარეზე არიან მთელი მსოფლიოს ხალხები, მათ შორის საბჭოთა კავშირის ხალხი.

ალჟირის გამარჯვება

ალჟირში დამთავრდა საზარელი კოლონიური ომი, რომელიც 7 წელი, 4 თვე და 19 დღე გრძელდებოდა. ამ საუკუნეში ასეთი ხანგრძლივი კოლონიური ომი არ წარმოებულა.

ალჟირელმა ხალხმა გამარჯვება მოიპოვა. საფრანგეთის იმპერიალიზმი დამარცხდა. ეს ფაქტი, რომლის აღიარება არა სურთ ნეოკოლონიალისტებს არც საფრანგეთში, არც ატლანტიკის გაღმა.

საფრანგეთის მმართველ წრეებს არ შეეძლოთ ომის გაგრძელება. XVII საუკუნის ცნობილმა ფრანგმა მოაზროვნემ და მწერალმა ლაროშფუკომ ერთხელ აღნიშნა, რომ ხანდახან ისეთი მდგომარეობა შეიქმნება, „როდესაც მტერთან შეთანხმება ბრძოლისაგან დაღლილობის მაუწყებელია, დამარცხების შიშით არის გამოწვეული და უკეთესი პოზიციის მოპოვების სურვილით არის ნაკარნახევი".

საფრანგეთის იმპერიალიზმს ახლა სხვა გამოსავალი არა ჰქონდა, ალჟირს ის ვერ დაამარცხებდა. ალჟირელი ხალხის ნებაშიც მეტად რთული ამოცანა იდგა. ის ებრძოდა რეგულარულ, კარგად შეიარაღებულ დიდ არმიას, რომლის ბრძოლის ველზე „დამარცხება" მეტად რთული და ძნიმე ამოცანა იყო. ეს აურაცხელი მსხვერპლის გაღებას მოითხოვდა. ამიტომ ეროვნული ორივე მხარემ გარკვეულ კომპრომისს მიაღწია.

საფრანგეთმა აღიარა ალჟირის სუვერენიტეტი. ისტორიას ჩაბარდა „ფრანგულ ალჟირზე" ოცნება. საფრანგეთის ჯარმა გარკვეულ ვადაში უნდა დატოვოს ალჟირი. უახლოეს ხანში ალჟირში უნდა მოეწყოს რეფერენდუმი. პრაქტიკულად ამ რეფერენდუმმა ერთი საკითხი უნდა გამოარკვიოს — სურს ალჟირელ ხალხს თამოუკიდებლობა თუ კვლავ უნდა დარჩეს საფრანგეთის კოლონიად.

არავის ეჭვი არ ეპარება, თუ როგორი იქნება ხალხის პასუხი. ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხალხს თავისი ნებით დაედგას კისერზე ეროვნული ჩაგვრის უღელი და თავისუფლებაზე უარი ეთქვას. ევიანში საფრანგეთმა იკისრა რეფერენდუმის შემდეგ ცნოს ალჟირის დამოუკიდებლობა. რეფერენდუმის შემდეგ გაიმართება ეროვნული კრების არჩევნები. ევიანის შეთანხმება ითვალისწინებს მრავალ სხვა საკითხსაც, რომლებიც განსაზღვრავენ ალჟირისა და საფრანგეთის სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას.

ცხადია, ალჟირის ომის ასეთი დასასრული ხელს არ აძლევს საფრანგეთის ულტრაკოლონიალისტურ წრეებს. ამერიკის შეერთებული შტატების პრესის დიდი ნაწილიც ცდილობს ეჭვი შეიტანოს ევიანის შეთანხმებათა რეალურ ღირებულებაში. ამ პრესის პატრონებს არ მოსწონთ ევიანის შეთანხმება, ამერიკელ ნეოკოლონიალისტებს სურთ აფრიკაში, აზიაში, ლათინურ ამერიკაში „ლოკალური" ომების მეფრიე წყალში თევზი იჭირონ. მშვიდობის პირობებში ასეთი „თევზობა" უფრო ძნელი საქმეა.

ამიტომ უჭერენ ისინი მხარს ავანტიურისტ ჯოფილ გენერალ სალანს და მის დამკვიდს სამხედრო საიდუმლო ორგანიზაციაში, ე. წ. ოას-ელებს. უნდა ვიფიქროთ, რომ არც ადენაუერია მეტად შეძრწუნებული იმ სისხლისღვრით, რომელიც ახლა გრძელდება ალჟირში, როდესაც ერთმანეთს ებრძვიან ოას-ელები და საფრანგეთის რეგულარული არმიისა და უანდარმერიის ნაწილები. დე გოლის რაინგაღშელ „მოკავშირეს" არაფერი ექნება საწინააღმდეგო, თუ საფრანგეთი ახალ სისხლისმსმელ ბრძოლებში ჩაეფლობა.

სალანი ახლა ტერორისტულ აქტებს აღარ სჯერდება, მან ალჟირში ფართო მასშტაბის სამხედრო აჯანყება დაიწყო.

1880 წელს მარშალმა სენტ-არნომ, ფრანგი ოკუპანტების იმ არმიის სარდალმა, რომელიც ალჟირს შეესია, ბრძანება გასცა: „ყველა, ვინც ჩვენს ფეხთ ქვეშ არ გაერთხმის, უნდა მოისპოს, როგორც ძალი". ფრანგები ასე იქცეოდნენ ალჟირში საუკუნენახევრის მანძილზე. სალანს სურს ამავე პოლიტიკის განგრძობა, მაგრამ ამაოდ, ახლა სხვა დროა.

ვერავითარი სალანები, ვერც მისი მფარველები, ვერც მისი დამქაშები ისტორიის მსვლელობას ვერ შეაჩერებენ. მათ არ ძალუძთ ხალხების დამონება და მოსპობა. შესანიშნავად თქვა ვიქტორ ჰიუგომ, „ხალხი შეიძლება სისხლით იცლებოდეს, მაგრამ ის არასოდეს არ კვდება".

ვლ. მაჰავარიანი.

„მნათობი" № 3

გამოვიდა ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „მნათობი" № 3. ჟურნალში დაბეჭდილია ი. აბაშიძის ლექსი „ხმა ზეთიხილის ბაღში", კ. გამსახურდიას „დავით ალმაშენებელი" (ტეტრალოგია. გაგრძელება), რ. მარგიანის ლექსები, თ. ბოგოლაძის „ნიაღვარი" (რომანი), მ. ქვლივიძის ლექსები, ბ. ჩხეიძის „კეთილი სიტყვა" (მოთხრობა), უოტ უიტმენის „როცა ეზოში გაზაფხულზე" (თარგმანი თ. ჩხენკელისა), რ. მ. რილკეს ლექსები (თარგმანი ზ. კაკაბაძისა), ე. ჰემინგუეის „ფრანსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება" (თარგმანი ზ. ჩხაიძისა და ი. ყაჩეიშვილისა),

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებაში დაბეჭდილია ნ. გეშიანის—გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლენინდაციის გზები, ხ. ბერულავას —შინაარსიანი და ნაყოფიერი მოღვაწეობა და სხვ.

ჟურნალს აქვს ხელოვნების განყოფილება და განყოფილება „წარსულიდან", ჟურნალი აქვეყნებს აგრეთვე ახალი წიგნების მიმოხილვას.

ელექტროსადგური კუბისათვის

ჰავანა (საკადესი). 22 მარტს აქ კუბის გაერთიანება „მაკინმპორტსა" და საბჭოთა კავშირის „ტეხნოპრომეექსპორტს" შორის დადო კონტრაქტი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა სანტ-იაგო-დე-კუბაში ააშენოს 100 ათასი კილოვატი სიმძლავრის თბოელექტროსადგური. კონტრაქტის შესაბამისად სსრ კავშირი მიაწვდის კუბას მთელ მოწყობილობას, მასალებს და გაუწევს საჭირო ტექნიკურ დახმარებას.

ეს მეორე თბოელექტროსადგურია, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით აშენდება კუბაში.

თავისუფლება გიგენგბას

ლონდონი, 24 მარტი. (საკადესი). აფრიკის ორგანიზაციათა კომიტეტმა ლონდონში გუშინ კონგოს მთავრობას მოუწოდა — გაათავისუფლოს ანტუან გიზენგა.

კომიტეტი თავის წერილში აღნიშნავს, რომ გიზენგას დაპატიმრება მას მიაჩნია კონგოს რესპუბლიკის პროგრესულ ძალებზე რეაქციის შეტევის შემადგენელ ნაწილად, ძალებზე, რომლებიც იბრძვიან კონგოს პოლიტიკური და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის, იმპერიალისტი მტაცებლებისა და სამხედრო ავანტიურისტების მიერ ხელყოფის წინააღმდეგ.

გიზენგას დაპატიმრებასთან დაკავშირებული ამბები, ხაზგასმულია წერილში „შეშფოთებას იწვევენ, რადგან ისინი მოგვაგონებენ იმ ამბებს, რომლებსაც მოჰყვა პატრის ლუმუმბას მხეცური მოკვლა".

აფრიკის ორგანიზაციათა კომიტეტი მოუწოდებს აფრიკის სახელმწიფოებს აიმაღლონ ხმა იმ მიზნით, რომ „მიაღწიონ ანტუან გიზენგას განთავისუფლებას და გამოვიდნენ ნატოს შეთქმულების წინააღმდეგ".

„უმუშევრობა ძალიან მაღალ დონეზე დარჩება"

ნიუ-იორკი, 26 მარტი. (საკადესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია, რომელშიც პესიმისტურად აფასებს ამერიკაში უმუშევრობის შემცირების პერსპექტივებს.

„უმუშევრობა, — წერს გაზეთი, — ძალიან მაღალ დონეზე დარჩება მთელ ამერიკაში, მაგრამ იგი განსაკუთრებით უცავლელია 20 მთავარ სამრეწველო რაიონში. მათ შორის უნდა აღინიშნოს ქრონიკული ეკონომიური დაქვეითების ისეთი რაიონები, როგორიც არის სამთო მრეწველობის რაიონი დასავლეთ ვირჯინიასა და პენსილვანიაში და საფეიერო მრეწველობის ყოფილი ცენტრები ახალი ინგლისის შტატებში. მაგრამ ამ სიებში შედიან აგრეთვე პიტსბურგი და დეტროიტი".

მთელ მსოფლიოში იზრდება ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის დევნის წინააღმდეგ ხალხთა საპროტესტო მოძრაობა. სურათზე: იაპონელი დემონსტრანტები, რომლებიც მოითხოვენ ბოლო მოეღოს რეაქციის თარეშს ამერიკაში. პლაკატს აწერია: „შეწყდეს რეპრესიები ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ!".

ფოტო ამერიკულ ჟურნალ „ლაიფიდან".

ორი გურთი ჩემპიონის კარში

შეხვედრა ნაადრევი გაზაფხული ეწვია თბილისს, შავი ზღვის სანაპირო კურორტებს. მიმდინარეობს ტყავის ბურთის ოსტატთა პაექრობა, საკონტროლო მატჩები.

ერთ-ერთი ასეთი მატჩი გაიმართა თბილისში 25 მარტს თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ჩემპიონს — კიევის „დინამოს" შორის.

აი მეტოქეები: კიევის „დინამო"—ბ. ბაზინსკი, ვ. შეიგალკოვი, ვ. ტურიანჩიკი, ვ. შჩერბაკოვი, ი. ვოინოვი, ვ. ვერეგინი, ა. ბაზილევიჩი, ა. ბიბა, ფ. მედვედი, ვ. ტროიანოვსკი, ვ. ლობანოვსკი; თბილისის „დინამო" — რ. კვასხვაძე, ბ. სიჭინავა, მ. ხუროცლავა, გ. ხოჭოლავა, დ. ხუნდაძე, გ. სიჭინავა, ს. ფიფია, თ. მელაშვილი, ზ. კალიევი, შ. იამანიძე, ი. დათუნაშვილი.

პირველ ტაიმში ვერც ერთმა მხარემ ვერ გამოამეღავნა მათთვის ჩვეული ბრძოლის მაღალი ტექნიკა. ეს იყო უღიმღამო თამაში, სადაც იშვიათად თუ შეამჩნევდით ლამაზ, შორს გამიზნულ კომბინაციებს, თუმცა, ამაში მოწინააღმდეგეებს ხელს უშლიდა ძლიერი ქარი.

უყრადღებას იპყრობდა გ. ჩოხელის შემცველელ ხურცილავასა და ახალბედა ფიფიას თამაში. სასიხარულოა, რომ ხურცილავა დამაჯერებლად დგას პასუხსაგებ პოსტზე და კარგად ხედავს მოედანს, ფიფია კი ამეღავნებს აგრესიული მოთამაშის სახეს.

პირველ ტაიმში იყო საგოლო მომენტები. აი ორი მათგანი. მე-18 წუთზე იამანიძე პირისპირ აღმოჩნდა მეკარესთან, ხოლო შვიდი წუთის შემდეგ ხოჭოლავამ ღია კარი აშკარა გოლს გადაარჩინა, მაგრამ ტაიმი ვერც უშედეგოდ დამთავრდა.

ბრძოლის მეორე ნახევარი უფრო შინაარსიანი და შედეგიანი აღმოჩნდა. მეტოქეებმა თამაში აიწყეს, კომბინაციას კომბინაცია მოჰყვა, იერიშებს გაშლილი სახე ჰქონდა. თბილისელთა ხუთეულში ტონის მიმცემნი იამანიძე და კალიევი იყვნენ და სწორედ მათ ხვდათ წარმატება. ეს მოხდა 26-ე და 42-ე წუთებზე. კალიევმა კარგად გაიყვანა გარლვევაზე გუნდის კაპიტანი იამანიძე და მეკარე რაზინსკიც ვერაფერს გახდა. ასევე გოლით დამთავრდა თბილისელთა მეორე კომბინაცია კალიევის თავური დარტყმით.

მატჩის დამაგვირგვინებელი იყო მეკარე კვასხვაძის ნახტომი და შესანიშნავი ალღო მეტად რთულ სიტუაციაში.

გაიმარჯვეს თბილისელებმა. ჩემპიონმა ორი ბურთი მიიღო საკუთარ კარში.

კომუნისტი სპორტი

«გურევესტნიკის» კიდევ ერთი დამარცხება

გასულ კვირადღეს თბილისის „ბურევესტნიკის" კალათბურთელთა ეაქთა გუნდმა ლენინის სახელობის დარბაზში ეამართა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის უკანასკნელი მატჩი სვერდლოვსკის „ურალმაშთან" და კიდევ ერთი დამარცხება განიცადა 70:79. „ბურევესტნიკმა" პირველი წრე 1 ქულით დამთავრა.

დღეს „ურალმაშის" გუნდი შეხვდება თბილისის „დინამოს".

ხელგურთელთა ტურნირი

თბილისი სპორტის სასახლეში გრძელდება ზონალური შეჯიბრება ხელბურთში (7X7) ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

გასულ კვირადღეს თბილისის „განთიადმა" წარმატებით ჩაატარა ბრძოლა ერევნის „ლოკომოტივის" ქალთა გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 10:1. ქალთა გუნდების მეორე მატჩი მოსკოვის „ტრუდისა" და აშხაბადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდებს შორის მოიგეს „ტრუდის"-ხელბურთელებმა 23:1.

ყველაზე საინტერესო გამოდგა თბილისის „ბურევესტნიკისა" და ბაქოს „დინამოს" ეაქთა გუნდების შეჯიბრება. ბაქოელები ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ თბილისის ძლიერ კოლექტივს, მაგრამ მატჩი მაინც წაგეს 16:20.

გუშინ შედგა მორიგი შეხვედრები. აშხაბადის ქალთა გუნდმა დამარცხა ერევნელი ხელბურთელები 10:6, ბაქოს გუნდმა — თბილისის „განთიადი" 14:4. ეაქთა გუნდების შეჯიბრებაში მოსკოველებმა მოუგეს ერევნის გუნდს 25:3, ბაქოელებმა — აშხაბადის გუნდს 27:11.

ცსკა — ნახევარფინალში

გრძელდება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთში გაეთა გუნდებისათვის. ირმინის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა მეორე მეოთხედფინალური მატჩი გამართა ქ. სვატის (ჩეხოსლოვაკია) „ისკრასთან" და წაგო. შეხვედრა ანგარიშით 55:57.

მიუხედავად ამ დამარცხებისა, ცსკა-ს გუნდი ნახევარფინალში გაეიდა, რადგან პირველი მატჩი მან მოსკოვში ქულების უკეთესი შეფარდებით (85:53) მოიგო.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის პირველ მოადგილედ ამხ. ნ. ს. ჯავახიძე, მინისტრის მოადგილეებად — ამხ. მ. მ. დოლაბერიძე, ამხ. ზ. მ. ბიძინაშვილი და მინისტრის მოადგილედ — სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და კადრების მომზადების — მთავარი სამმართველოს უფროსად—ამხ. ა. ი. ფალავანდიშვილი.

* * *

სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 26 მარტს გრძანებულებით გაიუქმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და გაათავისუფლა ამხ. ბ. ა. იაკობაშვილი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან. (საკადესი).

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

27 მარტი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — მინდია (დღისით), ბოჰემა (საღამოს, მე-5 აბონ. მე-9 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ტერეზას დამადების ღღე (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ფეხბურთელები (დღისით), ოქროკაცი ბეწვის ხიდზე (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — წესგარეშე თამაში (დღისით და საღამოს, მე-4 აბონ. მე-8 სპექტაკლი), **ხანკულტურის** — მეისრე.

ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი „აიდა", 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლ „თოვლის დედოფლის" ტრანსლაცია, 18.50 — გადაცემა ეკლიდან — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ", 20.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „თეთრი ოლიმპიადა", 20.40 — კინოჟურნალი, 20.50 — მშობელთა ტელეუნივერსიტეტი, 21.05 — ახალი ამბები, 21.20 — მხატვრული ფილმი „ბლეხის ნაამბობი".

ტელეგრამა გვატყობინებს

□ ჰავანა, 25 მარტი. (საკადესი). კუბის რევოლუციურმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება დაწესოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტი. ამ პოსტზე დანიშნულია კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი რაულ კასტრო.

□ ტუნისი, 25 მარტი. (საკადესი). დღეს ქალაქ ტუნისში გაიხსნა ტუნისის კომუნისტური პარტიის VII ყრილობა. დელეგატთა ტაშის გრიალში გამოაქვეყნეს მოძმე პარტიების მისასალმებელი დეპეშები ყრილობისადმი. პირველად წაიკითხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება. ყრილობის დელეგატები ფეხზე დგებიან და მჭუხარე, ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან მისალმებას.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება ყრილობაზე გააკეთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მოჰამედ ან-ნაფაამ.

□ ნიუ-იორკი, 26 მარტი. (საკადესი). „ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე საშინელ საავიაციო კატასტროფას" უწოდებს ასოშიეიტედ პრესის საგენტო თვითმფრინავ „სიუპერ კონსტელეიშენს" კატასტროფას, რომელიც 16 მარტს უგზოუკვლოდ დაიკარგა გუამის კუნძულიდან ფილიპინებზე გაფრენის დროს. თვითმფრინავში იყო 93 ამერიკელი სამხედრო პირი, რომლებიც სამხრეთ ვიეტნამში მიდიოდნენ, 3 ვიეტნამელი და ეკიპაჟის 11 წევრი.

ვითარება ალჟირში

პარიზი, 24 მარტი. (საკადესი). ქალაქებში — ალჟირსა და ორანში დღეს დილით მყუდროება ჩამოვარდა. ალჟირის გარეუბან ბაბ-ელ-უედში საფრანგეთის ჯარები, რომლებმაც გუშინ საღამოს „ულტრების ეს ბურჯი დაიკავეს, განაგრძობდნენ უბნების ჩხრეკას და გაწმენდას. როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, ჩხრეკის დროს დაპატიმრებულია დაახლოებით 50 კაცი.

უკანასკნელი ცნობებით, ბაბ-ელ-უედში კვლავ დაიწყო სროლა. ალჟირის ერთ-ერთ ქუჩაზე „ულტრებმა" გრანატები ესროლეს სატვირთო მანქანას, რომელშიც ფრანგი ჯარისკაცები იყვნენ.

ოას-ელები, რაკი განსაკუთრებულ დაბრკოლებას არ ხვდებიან, განაგრძობენ ტერორისტულ საქმიანობას ალჟირის სხვა ქალაქებში. ოას-ის რაზმმა დღეს სიდი-ბელ-აბესში ხელი იგდო იარაღი ქალაქის საპოლიციო უბანში.

მოტოკროსი რუსთავში

მოტოკროსი რუსთავში ქართველოს დამსაჯ-ის რესპუბლიკური ავტომოტოკლუბის ჯილდოზე მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი მომზიდველი შეჯიბრება იყო. მიუხედავად არანელსაყრელი ამინდისა, შეჯიბრებას რუსთავის მრავალი მშრომელი, აგრეთვე ბევრი თბილისელი დაესწრო.

ასპარეზობა იმითაც იყო საინტერესო, რომ მასში გარდა საქართველოს უძლიერესი მოტორბოლელებისა, გამოდიოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა ქალაქების სპორტსმენები — საკავშირო ჩემპიონატის პრეზიორები, ოსტატები.

კროსის ტრასა დაბრკოლებანი და რთული იყო. 125 კუბური სანტიმეტრის მანქანებით ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა საქართველოს გუნდის წარმომადგენელი კ. ცალკალამანიძე. 175 კუბური სანტიმეტრის მოტოციკლებით კროსში უძლიერესი იყო სსრ კავშირის ავტო-მოტოკლუბის ნაკრების წევრი ა. იაკოვლევი. 350 კუბური სანტიმეტრის მანქანებით პირველობა მოიპოვა ქ. კოვროვის წარმომადგენელმა ი. აგეევმა, ხოლო 500 კუბური სანტიმეტრის მოტოციკლებით — თ. შალიბაშვილმა.

გამარჯვებულებს საზეიმოდ გადაეცათ პრიზები, დიპლომები.

სურათებზე: ქვევით — მოტოკროსის ერთ-ერთი მომენტი; ზევით — შეჯიბრებაში გამარჯვებულნი (მარცხნიდან) კ. ცალკალამანიძე, ა. იაკოვლევი, ი. აგეევი და თ. შალიბაშვილი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-63-03, 8-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, სამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა, პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 1-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-82-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 1-73-24, უცხოეთის — 8-35-01, სალუსტრაციო — 8-20-48, განცხადებების მიღების — 1-64-42.

კომუნისტი

სქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

უე 00959

1